ეროვნული
ბიბლიოთეკა



619
1976

# დროშა

დეკემბერი
№ 12 1976 წ.





ეროვნული ბიბლიოთეკა



ლ. ი. ბრეჟნევი ემშვიდობება თბილისელებს (1966 წ.).

ლ. ი. ბრეჟნევის ჩამოსვლა თბილისში (1971 წ.).

ლ. ი. ბრეჟნევი, ო. კ. ლესელიძე და ვ. ე. ზარელუა ნოვოროსიისკში.

ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა თბილისში (1971 წ.).



70

# მუდამ
# ძვირფასი
# [illegible]
# და ახლობელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



„ნოვოროსიისკის მისადგომებთან".

მხატვარი დ. გაბიტაშვილი.

# ძალა გულითადი წერილისა

იმ საღამოს რუსთავის ყველა სახლის ფანჯრიდან გამოკრთოდა ცისფერი შუქი, როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი, მეტალურგთა ქალაქიც უსმენდა მაშინ ლეონიდ ბრეჟნევს.

ოთარ ლომიძის ოჯახის წევრებიც ტელევიზორს მისჩერებოდნენ. გადაცემა რომ დამთავრდა, ოთარი წამოდგა და თქვა:

— წერილი უნდა მივწერო!

— ვის?! — შეეკითხა მეუღლე.

— ბრეჟნევს!

მეუღლეს გაეღიმა:

— სად სცალია, კაცო, ბრეჟნევს შენი წერილის წასაკითხად!

— მე მაინც მივწერ! — თავისაზე იდგა ოთარი.

წერილის დაწერაში მთელი ოჯახი მონაწილეობდა — ყველამ თავისი თქვა, ყველამ რაღაცა დაუმატა. მთავარი კი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მიერ საფრანგეთის ტელევიზიისათვის მიცემული ინტერვიუთი გამოწვეული განცდები იყო. რუსთაველი მეფოლადე ოთარ ლომიძე სიტყვას აძლევდა ლეონიდ ბრეჟნევს, ძალ-ღონეს არ დაიშურებდა მეათე ხუთწლიანი გეგმის პირნათლად შესრულებისათვის.

— წაიკითხავს, — თქვა მან ბოლოს, — დარწმუნებული ვარ, პასუხსაც მომწერს!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის დელეგატი ოთარ ლომიძე იცნობს ლეონიდ ბრეჟნევს, მოუსმენია მისთვის კრემლის დიდებულ სასახლეში; ოთარისათვის ცნობილია, რომ ლეონიდ ბრეჟნევმა გულთბილი წერილები გაუგზავნა ჩვენი ქვეყნის ბევრ მშრომელ ადამიანს.

ასე იყო თუ ისე, ოთარ ლომიძემ თავისი გულისნადები ერთ პატარა ფურცელზე მოათავსა. კონვერტში ჩადო და მთელი მსოფლიოსათვის ცნობილი მისამართი დააწერა: მოსკოვი, კრემლი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს.

რა უნდა მიწეროს, მაგალითად, ამერიკელმა ან ინგლისელმა, იაპონელმა ან იტალიელმა მუშამ თავისი სახელმწიფოს მეთაურს?! რამ უნდა აღაფრთოვანოს ის, რამ უნდა მისცეს მას სტიმული ამისათვის. არა, წერილებს როგორ არ წერენ, წერენ. წერენ თავიანთ გაჭირვებაზე, უმუშევრობაზე, ცხოვრების აუტანელ პირობებზე...

რა უნდა მიწეროს ამერიკის ან ინგლისის, იაპონიის ან იტალიის სახელმწიფო მეთაურმა მისი ქვეყნის მუშას ან გლეხს. ვერ წარმოუდგენია ეს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს მეფოლადეს ოთარ ლომიძეს, თბილისის ფოლადთუჯსასხმელი ქარხნის მეკოპეთა სახელოვან ბრიგადირს გიორგი კურტანიძეს, ფეხსაცმლის ფაბრიკა „ნარიყალას“ მუშას ევგენია გალუსტოვას, ტყვარჩელელ მეშახტეს ლეონტი ტყებუჩავას, ცხინვალელ მწველავს თამარ თარაევას, მეამწეს გ. გუგუშვილს და სხვებს.

ოთარ ლომიძეს კარგად ახსოვს, რა სითბოთი აღსავსე სიტყვები მისწერა ლ. ი. ბრეჟნევმა გ. კურტანიძეს, ე. გალუსტოვას, თ. თარაევას, ლ. ტყებუჩავას, გ. გუგუშვილს. აი გაზეთ „კომუნისტის“ ერთ-ერთი ნომერი, პირველ გვერდზე გამოქვეყნებულია ლ. ი. ბრეჟნევის წერილი ტყებუჩავასადმი: „ძვირფასო ლეონტი ტონტოს ძევ!

მივიღე თქვენი დეპეშა. მხურს უგულითადესი მადლობა გადაგიხადოთ გულთბილი სიტყვებისა და კეთილი სურვილებისათვის, რომლებიც გამოთქვით მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე ჩემს გამოსვლასთან დაკავშირებით.

სულითა და გულით გილოცავთ თქვენ, ლეონტი ტონტოს ძევ, თქვენს თანაბრიგადელებს, შახტის მთელ კოლექტივს, წინასაარჩევნო სოციალისტური ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებულ წარმატებებს და გისურვებთ შრომითს მიღწევებს.

ლ. ი. ბრეჟნევი“

— ახლა ძველებურად მუშაობა არ გამოვა! — უთხრა მაშინ სიხარულისაგან აღტაცებულმა მეშახტემ მიტინგის მონაწილეებს, — ახლა სხვანაირად უნდა ვიმუშაოთ, ბიჭებო!

ლეონტი ტყებუჩავა დღეს მართლაც, „სხვანაირად“ მუშაობს — მისი ბრიგადა ცვლაში 60 ტონა ქვანახშირს იღებს.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის წერილის ტექსტი ზეპირად იციან ტყვარჩელელმა მეშახტეებმა, ამ წერილის ძალა კვლავაც ახლავთ მათ შახტებში. ეს ძალა აფეთქებს ლავებს, ანგრევს ქანებს, ზრდის ქვანახშირის მთებს.

მაინც, რა ძალა იმალება ამ უბრალო სტრიქონებში! კითხულობ მათ და რაღაც მოჭარბებულ ენერგიას გრძნობ, გინდა გააკეთო ის, რაც დღემდე ვერ შესძელი, რისი გაკეთება არც გიფიქრია.

...თბილისელმა მეკოპეებმა საქარხნო მიტინგზე ლ. ი. ბრეჟნევის წერილი რომ მოისმინეს, ფიქრობდნენ, რა პასუხი გაეცათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნისათვის, მეკოპეთა პასუხი — საქმეა, ჭეშმარიტი საქმე!

ჰოდა, მეკოპეებმა თავიანთი სახელმოხვეჭილი ბრიგადირის გიორგი კურტანიძის ნებართვით ერთხელ კიდევ წაიკითხეს, საკუთარი თვალით ნახეს გენერალური მდივნის წერილი. ერთსულოვნად იკისრეს მეათე ხუთწლედის პირველ წელიწადს ბრიგადის თითოეულ წევრზე გამოუშვან კოპები 700 ტონა თუჯის სხმულიდან. მეათე ხუთწლედის დამლევს კი ეს ციფრი 1 000 ტონამდე გაზარდონ. ეს კი ნიშნავს 7,8 პროცენტით საშუალო წლიურ მატებას. ამ მატების ანგარიშზე ხუთწლედის ყოველ წელს 18.300 მანეთის ეკონომიას მიიღებენ, 1979 წელს აითვისებენ კოპების დამზადების ნაკადურ-მექანიზებულ ხაზს, წუნით გამოწვეულ დანაკარგს 2,8 პროცენტიდან 1,4 პროცენტამდე შეამცირებენ, ამით 150 ათას მანეთს დაზოგავენ.



ო. ლომიძე.



ე. გალუსტოვა.

გარეკანის პირველ გვერდზე: ლ. ი. ბრეჟნევი რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროში. 1966 წლის ოქტომბერი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 12 (480) დეკემბერი, 1976 წ.

ჟურნალი გამოდის 1928 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა“, 1976

მთავარი რედაქტორი
რევაზ მარგიანი

სარედაქციო კოლეგია:

გულნარა ბახტაძე,
თენგიზ გოგოლაძე
(პ/მგ. მდივანი),
ოთარ დემეტრაშვილი,
გურამ დოჩანაშვილი,
სერგო დურმიშიძე,
დინარა ნოდია
(მხატვარი-რედაქტორი),
ლადო სულაბერიძე,
ილია ტაბაღუა,
უჩა ჯაფარიძე.

ტექრედაქტორი დავით სეფიაშვილი

კორექტორი ქეთევან წერეთელი



გ. კურტანიძე.



თ. თარაევა.


ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ. ტყებუჩავა.



გ. გუგუშვილი.

მეკოპეები ასრულებენ პარტიისათვის, პირადად ლ. ი. ბრეჟნევისათვის მიცემულ სიტყვას. ასევე პირნათლად ანაღდებენ ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს გალუსტოვა, თარაევა, ტყებუჩავა და სხვა მრავალი საბჭოთა ადამიანი.

...ოთარ ლომიძე ერთ დღეს ქარხნის პარტიულ კომიტეტში გამოიძახეს.

პარტიული კომიტეტის მდივნის კაბინეტში პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი რ. გიორგაძე და სხვები ისხდნენ. მეფოლადემ მათი გაღიმებული სახეები რომ დაინახა, ყველაფერს მიხვდა, დაბნეულობისაგან ხმა ვერ ამოიღო, მადლობაც ვერ თქვა. არადა, რამდენი რამ უნდოდა ეთქვა. სანამ ქარხნის მთელი კოლექტივი ამ ამბავს გაიგებდა, წერილი იქვე, პარტიული კომიტეტის მდივნის კაბინეტში წაიკითხეს.

„პატივცემულო ოთარ ალექსანდრეს ძევ!

გულითად მადლობას გიძღვნით საფრანგეთის ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუზე გულთბილი გამოხმაურებისათვის. როგორც სკკპ ყრილობის დელეგატმა, კარგად იცით, თუ რა რთული და პასუხსაგები ამოცანები დგას პარტიისა და ხალხის წინაშე მეათე ხუთწლედში. მათი წარმატებით გადაწყვეტა საბოლოო ანგარიშით დამოკიდებულია კონკრეტულ წვლილზე, რომელიც ჩვენი ქვეყნის თითოეულ შრომით კოლექტივს, ყოველ მშრომელს შეაქვს კომუნისტური მშენებლობის, სოციალისტური სამშობლოს ძლიერების განმტკიცების საერთო-სახალხო საქმეში. სულითა და გულით მივესალმები თქვენი ბრიგადის მუშების, რუსთავის ყველა მეტალურგის მტკიცე გადაწყვეტილებას ვადამდე შეასრულონ ხუთწლედის პირველ წელს ნაკისრი ვალდებულება. დარწმუნებული ვარ, რომ ქარხნის მშრომელები ღირსეულად გაართმევენ თავს დასახულ ამოცანებს.

თქვენ და თქვენს ამხანაგებს, ოთარ ალექსანდრეს ძევ, გისურვებთ ჯანმრთელობას, პირად ბედნიერებას, შემდგომ შრომით წარმატებებს სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ლ. ი. ბრეჟნევი".

ეს სიტყვები მარტო ოთარ ლომიძეს როდი ეკუთვნის; ამ წერილის ადრესატი მთელი ქარხანა, მეტალურგთა დიდი კოლექტივის ყველა წევრი, მთელი საქართველოს მშრომელები არიან. განუზომელია ის მამობრივი ზრუნვა, რომელსაც გენერალური მდივანი იჩენს ჩვენი რესპუბლიკისადმი, ის დიდი შეფასება, რომელსაც იგი აძლევს ყოველ ჩვენს წარმატებას.

ცნობილმა ქართველმა მსახიობმა ქალმა სოფიკო ჭიაურელმა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის მაღალი ტრიბუნიდან თქვა:

„ნება მიბოძეთ, ჩვენი გრძნობები შევუერთო მოწიწების, მადლიერებისა და სიყვარულის უდიდეს ოკეანეს. იმ გრძნობებს, რომლებსაც ჩვენი პლანეტის ყველა პატიოსანი ადამიანი განიცდის თქვენს მიმართ, ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ! მადლობას გიძღვნით ჩვენი მშვიდობიანი ცხოვრებისათვის, თქვენი მამობრივი ზრუნვისათვის, ჩვენი შვილების ღიმილისათვის!"

ყველა საბჭოთა ადამიანს სურს მშვიდობისათვის, ადამიანის ბედნიერებისათვის დაუცხრომელ მებრძოლს ლ. ი. ბრეჟნევს დაბადების 70 წლის იუბილე მიულოცოს.

ივერი ტაბიძე

# მისი სახელია ბოლშევიკი

პარტიის ერთგული შვილი, მშვიდობისათვის დაუღალავი მებრძოლი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი ყოველთვის იყო მაგალითი იმისა, თუ როგორი უნდა იყოს ნამდვილი ბოლშევიკი. აი, რას წერს მრავალტირაჟიანი გაზეთი „ზნამია ძერჟინსკაია" (1935 წლის თებერვალი) სტატიაში — „მისი სახელია ბოლშევიკი":

„ვერ წარმომიდგენია საიდანა აქვს ამ ადამიანს ამდენი ენერგია და შრომისუნარიანობა. მუშის შვილი, თვითონ მუშაობდა ხუთი წლის განმავლობაში ცეცხლფარეშად, ზეინკლად. წარმოებიდან მას გზავნიან პარტიულ-სამეურნეო სამუშაოზე. დიდი და მძიმე დატვირთვაა. თანაც ჩვენს ინსტიტუტში სწავლობს, მეხუთე თბოძალური კურსის საუკეთესო ჯგუფორგია... თანაც კურსზე საუკეთესოა, „ფრიადზე" დაიცვა სადიპლომო პროექტი! წარმოებაში წასული ახალგაზრდა ინჟინერი ბევრს გვპირდება, ბევრსაც მოგვცემს, რადგან „მტკიცე მასალისაგან არის გამოჭედილი".

ყოველივე ეს ნათქვამია ახალგაზრდა კომუნისტ ლეონიდ ბრეჟნევზე.

გრძელმა ფრონტულმა გზამ ვლადიმერ ზარელუას ბევრი რამ დაუტოვა მოსაგონებლად... რაც იმ თოფისწამლის კვამლში გახვეულ გზაზე ნახა და განიცადა, რაც მის სულში სამუდამოდ ჩასახლდა და გულზე დაიბეჭდა, ყველაფერი ქაღალდს რომ გაანდოს, დიახაც დიდი წიგნი დაიწერება, მაგრამ როდესაც ჩვენ მას ვესაუბრეთ, მხოლოდ ის გაიხსენა, თვითონ რომ მიაჩნია მნიშვნელოვნად.

უამრავი ფრონტული სურათიდან სამი სურათი ამოვარჩიეთ და წინ დავიდეთ. სამივე 1948 წელსაა გადაღებული, უშუალოდ წინა ხაზზე.

პირველი: მეთვრამეტე სადესანტო არმიის სარდალი გენერალ-ლეიტენანტი კონსტანტინე ლესელიძე, ამავე არმიის პოლიტგანყოფილების უფროსი, გვარდიის პოლკოვნიკი ლეონიდ ბრეჟნევი და პოლკოვნიკი ვლადიმერ ზარელუა სათვალთვალო პუნქტისკენ მიეშურებიან.

მეორე: იგივე სამეული საბრძოლო მოქმედების რაიონში იმყოფება.

მესამე: ნოვოროსიისკის შტურმისათვის მზადების დღეებში კონსტანტინე ლესელიძე, ლეონიდ ბრეჟნევი, ვლადიმერ ზარელუა და სამხედრო საბჭოს წევრი გენერალ-მაიორი სიმონ კოლონინი მეთვრამეტე სადესანტო არმიის სამეთაურო უბნისაკენ მიდიან.

უამრავი სურათიდან მეოთხეც გამოვარჩიეთ: აქ მხოლოდ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევია გადაღებული. სურათი მას გულითადი მეგობრობის ნიშნად ავტოგრაფით მიუძღვნია ვლადიმერ ზარელუასთვის 1944 წელს.

— ჩვენ თითქმის ორ წელიწადს ერთად ვზიდეთ ფრონტული ცხოვრების მძიმე ტვირთი, — იგონებს სამოცდაათ წელს გადაცილებული, მაგრამ კვლავ გულმხნე და საქმიანი კაცი, ამჟამად გადამდგარი გენერალ-მაიორი ვლადიმერ ზარელუა, — ფრონტული ცხოვრების ორი წელი კი არა, ორიოდე კვირა და ორიოდე დღეც კი წარუშლელ კვალს ტოვებს ადამიანის სულში, რადგან იქ თითქმის ყოველი წუთი საუკუნეს იტევს, უაღრესად დამუხტულია უამრავი ძლიერი ემოციით და იმ განსაკუთრებულ ვითარებაში დაბადებული ემოციები თოფისწამლის კვამლივით როდი ქრებიან, სამუდამოდ აღიბეჭდებიან მეხსიერებაში.

რაკი ფრონტზე ემოციები ფრიად გამახვილებულია, ადამიანებიც ერთმანეთს მალე ეცნობიან. ამის მიზეზი ისიც არის, რომ ისინი ერთ ბედში არიან, ერთი საფრთხის წინაშე დგანან, ერთი მტერი ჰყავთ, მიზანიც ერთი


ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათზე (მარჯვნიდან): ლ. ბრეჟნევი და ვ. ზარელუა. 1942 წ.

# დაუვიწყარი ის ორი წელიწადი

აქვთ — დუშმანის განადგურება. ფრონტზე ადამიანები ერთიმეორეს მალე ვუმეგობრდებოდით და სხვადასხვა ერის შვილებიც კი ისე შევეთვისებოდით ხოლმე ერთმანეთს, თითქოს ერთ აკვანში ვყოფილიყავით გაზრდილები და ერთი დედის ძუძუ გვეწოვოს; ამას განაპირობებდა ფრონტული ცხოვრება.

დიდი სამამულო ომის ძნელბედობის ჟამის გმირულ მატიანეში ცეცხლოვანი სტრიქონებითაა ჩაწერილი ბრძოლები ნოვოროსიისკისათვის, კერძოდ კი, ამ საპორტო ქალაქიდან ოცდაათიოდე კილომეტრზე „მცირე მიწად“ მონათლული რაიონის სამკვდრო-სასიცოცხლო, უჩვეულო თავგანწირვის ბრძოლების ეპოპეა. საბჭოთა ჯარისკაცების გმირული თავდადება ამ პატარა მიწა-წყალზე ადამიანთა ხსოვნაში ლეგენდებად დარჩა.

1943 წლის 26 იანვრისათვის დანიშნული იყო მეორმოცდაშვიდე არმიის იერიში. იგი უნდა დაეწყო საბჭოთა კავშირის გმირის პროვალოვის დივიზიას. იერიშის წინა ღამეს ამ დივიზიაში იმყოფებოდნენ ამიერკავკასიის ფრონტის ჯარების შავიზღვისპირეთის ჯგუფის სამხედრო საბჭოს წევრი სიმონ კოლონინი და ამავე ჯგუფის პოლიტსამმართველოს უფროსის მოადგილე ლეონიდ ბრეჟნევი. აქ გაიგეს მათ, რომ არმიის სარდლად კონსტანტინე ლესელიძე დაინიშნა. ზოგს გაუკვირდა იერიშის წინ სარდლის გამოცვლა, ბრეჟნევმა კი ეს სავსებით კანონზომიერად მიიჩნია:

— რთული ოპერაცია უნდა ჩავატაროთ და მისი ხელმძღვანელობა სწორედ ისეთმა მხედართუფროსმა უნდა ითავოს, როგორიც ლესელიძეა; მე მას ვიცნობ, მთებში ბრძოლების კარგი გამოცდილება აქვს!

ამ იერიშმა თავისი როლი შეასრულა.

ორიოდე თვის შემდეგ კი გენერალი ლესელიძე დაინიშნა მეთვრამეტე არმიის სარდლად, რომელიც თებერვალში სადესანტოდ გარდაიქმნა. ამ არმიას დაევალა გერმანელთა „ცისფერი ხაზის“ გარღვევა, ნოვოროსიისკისა და ტამანის ნახევარკუნძულის განთავისუფლება ოკუპანტებისაგან.

სარდალი დიდ ტაქტიკურ და სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებდა ნოვოროსიისკის შემოგარენში ჩვენი სადესანტო ჯარების მიერ დაკავებული „მცირე მიწის“ შენარჩუნებას. აქ გამაგრებული იყვნენ საბჭოთა საზღვაო ქვეითი რაზმები და სხვა ნაწილები. მათი შეუპოვრობის წყალობით ფაშისტებმა ვერ მოახერხეს შავიზღვისპირეთის დაპატრონება და მნიშვნელოვანი სანავსადგურო ქალაქის ნოვოროსიისკის მთლიანად ხელში ჩაგდება.

„მცირე მიწა“ ლეონიდ ბრეჟნევმა მარტშივე ინახულა, ვიდრე იგი მეთვრამეტე არმიაში სამუშაოდ გადმოვიდოდა. ბრეჟნევი გელენჯიკიდან გამოემართა. როცა კატერი რვაასიოდე მეტრით მიუახლოვდა ნაპირს, კიჩოს მიღმა აფეთქების ძლიერი ხმა გაისმა და წყლის უზარმაზარი შადრევანი ცაში ავარდა. შემდეგ გაირკვა, რომ წყალქვეშ აფეთქებულა მაგნიტურ-აკუსტიკური ნაღმი. აფეთქებამ მაგრად შეარყია კატერი, მაგრამ ვერ დააზიანა. მან ნაპირს მშვიდობიანად მიაღწია. ხმელეთზე ნაკლები საფრთხე როდი ელოდა, მაგრამ უშიშარი ადამიანი წამითაც არ შეყოვნებულა, რადგან კრიტიკულ მომენტში მის მოსვლას მებრძოლებთან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

მეთვრამეტე არმიაში პოლიტგანყოფილების უფროსად დანიშვნის შემდეგ სარდალთან შეხმატკბილებული მუშაობით გვარდიის პოლკოვნიკმა ლეონიდ ბრეჟნევმა ფრონტზე მასების ნიჭიერი წინამძღოლის საუკეთესო თვისებები და დიდი უნარი გამოამჟღავნა. პოლიტიკური განყოფილების უფროსი, გულადი და გულითადი ადამიანი, როცა საჭირო იყო, ფრონტის წინა ხაზზეც გადიოდა და იარაღით იგერიებდა გააფთრებული მტრის შემოტევას ან იერიშზე მიჰყვებოდა მებრძოლებს. იგი „მცირე მიწის“ ხშირი სტუმარი გახდა. არავითარ საფრთხეს არ ერიდებოდა, ოღონდ მებრძოლებთან ახლო ყოფილიყო. ინტერნაციონალისტური სულისკვეთებით სავსე სხვა ერების შვილებთან ერთად ისიც იცავდა ჭალარა კავკასიონს.

დღეს იმდროინდელ ამბებს რომ ვიგონებ, ვხედავ არა ძელმიწურში მყოფ პოლიტმუშაკ ბრეჟნევს, არამედ ტყვიების სეტყვასა და ჭურვების გრუხუნში მიმავალს, იგი გადადის სანგრიდან სანგარში, რომ ჯარისკაცის გვერდით დადგეს და გაესაუბროს, გაიგოს მისი ჭირ-ვარამი და ხვაშიადი, ვხედავ მტკიცე ნებისყოფის უშიშარ მებრძოლს, უაღრესად გულთბილად და გონივრულად, გულშიჩამწვდომი უბრალოებით მოსაუბრე ადამიანს, რომელსაც ადამიანებზე ზრუნვა თავისი სიცოცხლის უპირველეს მიზნად გაუხდია და ამავე დროს დიდი უნარი გააჩნია, დარაზმოს და თან გაიყოლიოს ადამიანები.

ვისაც ფრონტზე ჯარისკაცად უბრძოლია, კარგად იცის რა დიდი მნიშვნელობა აქვს, როდესაც მეთაური შენს გვერდით დენთის კვამლიან სანგარში ჩადგება და შინაურულად გაგესაუბრება. გგონია, რომ შენი ოჯახის წევრი მოვიდა შენთან გაჭირვების ჟამს სანუგეშებლად და მხარის დასაჭერად, უმალვე გემატება ძალ-ღონე და სიკვდილის შიში გიქარწყლდება, გგონია, რომ სიკვდილი ვერასოდეს გაგიბედავს მოახლოვებას. გამხნევებს, რომ გვერდით გიდგას ადამიანი, რომელსაც სრულებით არ ევალება ახლა აქ ყოფნა, მაგრამ მოვიდა იმიტომ, რომ შენზე გული შესტკივა და უნდა შენი ჭირ-ვარამი გაიზიაროს.

ვინ მოთვლის, ლეონიდ ბრეჟნევს რამდენჯერ თავისი ხელით მიუტანია ჯარისკაცისთვის მისიანის გამოგზავნილი წერილი: ჯარისკაცი რომ წაიკითხავს, შინაურების ხმას გაიგონებს და უფრო გულმხნედ იბრძოლებსო. ამგვარი თავდაბლური საქციელით უმალვე პოულობდა მებრძოლთან საერთო ენას და ინტიმური საუბრის კილოს, ინტერესდებოდა არა მარტო იმით, რა უჭირდა სანგარში მყოფ ჯარისკაცს, არამედ შინაურების მდგომარეობითაც.

„მცირე მიწას" მტერი ისე დასცქეროდა, როგორც თავის ხელისგულს, იქ მყოფი მებრძოლებისათვის დღისით ცხელი კერძის მიტანა შეუძლებელი იყო. ბრეჟნევმა განკარგულება გასცა, რომ ცხელი კერძი თერმოსებით მიეტანათ ალიონზე და შებინდებისას, როცა ჯარისკაცს ცხელი ულუფა აკლია, მის შაშხანასაც აკლდება სროლის სიმარჯვე, მიზანს ყოველთვის ზუსტად ვეღარ ახვედრებსო.

გამოცდილმა პოლიტმუშაკმა ისიც კარგად იცოდა, რომ თბილი სიტყვა ცხელ ულუფაზე ნაკლებად როდი ესაჭიროება ჯარისკაცს და თავის ხალხს ხშირად გზავნიდა უშუალოდ სანგრებში — პოლიტმუშაკთა ადგილი იქ არის, მებრძოლთა გვერდითო. ხშირად მომისმენია მისი აზრი: დიდ თუ პატარა მეთაურს, გენერალი იქნება იგი თუ კაპიტანი, ყველა ჯარისკაცის ტკივილი თუ არ სტკივა, ნამდვილი მეთაური ვერ იქნება, თუ ჯარისკაცს შია, კაპიტანსა და გენერალსაც უნდა შიოდეს, თუ რიგით მებრძოლს უჭირს, კაპიტანსა და გენერალსაც უნდა უჭირდეს, სხვანაირად მის გუნება-განწყობილებას ვერ გაიგებს, ვერ იგრძნობს და ვერ დაეხმარებაო, მეთაურები და ჯარისკაცები თუ ურთიერთგაგებით არ ვიცხოვრებთ და ვიბრძოლებთ, მტრის დამარცხება ძალზე გაგვიჭირდებაო, მებრძოლს მეთაურის თბილი სიტყვა და გულითადი საუბარი ტყვია-წამალივით სჭირდებაო.

ამიტომ არ ერიდებოდა მოწინავე ცეცხლის ხაზს, როცა ყოველ ნაბიჯზე საფრთხე ელოდა და სიკვდილ-სიცოცხლის ბეწვის ხიდზე უხდებოდა გავლა. მართალია, უშუალოდ სანგრებში ყოფნა არ ევალებოდა, მაგრამ ასე სთხოვდა გული: ჯარისკაცმა უნდა დაინახოს, რომ მის ყოველგვარ ჭირ-ვარამს მეთაურიც იზიარებს და ეს ამბავი გაუასკეცებს ძალ-ღონეს, თუ მებრძოლი იგრძნობს მეთაურის პასუხისმგებლობას ხელქვეითების მიმართ, თვითონაც მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდება მეთაურის ყოველ სიტყვას და ბრძოლაში მეტ მხნეობას გამოიჩენსო, ჯარისკაცისთვის კი მხნეობა ისეთივე იარაღია, როგორც თოფი, ტყვიამფრქვევი, ქვემეხი და ნაღმსატყორცნიო. ჯარისკაცი შიმშილსაც მოითმენს, წყურვილსაც, სიცივესაც, უძილობასაც, ოღონდ უნდა ხედავდეს, რომ უფროსებმა კარგად იციან მისი მდგომარეობა და გამონახავენ თუ არა საშუალებას, არ დატოვებენ ბედისანაბარად, შეუმსუბუქებენ გაჭირვებას, მოუტანენ ულუფასაც და თბილ ტანსაცმელსაც, თუ დაიჭრება, უპატრონებენ, მარტო არ დარჩება გაჭირვებისას, მიეშველებიან; თუ ვაზნები შემოაკლდება, დროულად მოაწოდებენ, თუ იარაღი დაუზიანდა, შეუკეთებენ...

ომს მკაცრი კანონები აქვს. დენთის კვამლში ყველაფერს კარგად როდი გაარკვევ: ჰოდა, იქ მყოფი ადამიანი შეცდომებისგან არ არის დაზღვეული.

როდესაც ვინმე უნდა დაგვესაჯა, მეთაური იყო ის თუ რიგითი ჯარისკაცი, ბრეჟნევი დაკვირვებას გვირჩევდა, ადამიანს ხელაღებით ნუ გამოუტანთ განაჩენს, ვიდრე მის მდგომარეობას ძირფესვიანად არ გამოარკვევთ, ათასჯერ არ აწონ-დაწონით, მკაცრად დასჯას ერიდეთო. თუ მეთაურს რაიმე შეეშალა, გავიგოთ რატომ შეეშალა, იქნებ მისი ბრალი არაა, გარემოებამ შეაცდინა და როცა შეცდომა დაინახა, უკვე გვიან იყო., თუ ჯარისკაცს სროლა უჭირს, გავიგოთ, რატომ უჭირს, რა უშლის ხელს, იქნებ არცოდნა, იქნებ ვინმემ აწყენინა ან შინიდან ცუდი ამბავი მოუვიდა, გულმოკლულია და თოფს ვერ იმორჩილებსო. ადამიანებს მეტად ვენდოთ და ისინიც მეტად გვენდობიანო.

იმ უაღრესად დიდი სიმკაცრის ჟამს ასე მჟღავნდებოდა გულთბილი და მუდამ ყურადღებიანი ადამიანის დიდი ჰუმანური სული. იგი მეთაურებთან თუ ჯარისკაცებთან ერთნაირად ცდილობდა ახლო ყოფნას და ყველასთან გულისხმიერებას იჩენდა, ერთი სიტყვით, მთელი არმიის სული და გული იყო.

პოლიტმუშაკთა თათბირებსა თუ ჟურნალისტებთან საუბრისას ყველას ურჩევდა: წერეთ რაც შეიძლება სადად და მხოლოდ სიმართლე, გაზეთში მოიხსენიეთ რაც შეიძლება ბევრი მებრძოლის სახელი, ყველას ჰყავს დედა. ცოლი, შვილები, ნათესავები, მათ ძალიან ესიამოვნებათ თავიანთ ჯარისკაცზე თუნდაც ცოტა რამ, ორიოდე სტრიქონი წაიკითხონო.

ასე ზრუნავდა არა მარტო ფრონტზე მყოფ ადამიანებზე, არამედ მათი შინაურების გახარებაზეც.

ეს ყველაფერი მისთვის შინაგანი ბუნებრიობით იყო განათებული.

მაშინ, როცა ჯერ კიდევ ძლიერი იყო მტერი და კავკასიის კარიბჭესთან მომდგარი გვემუქრებოდა, მებრძოლებში ჩვენი ქვეყნის გამარჯვების რწმენის შთანერგვას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რადგან რწმენადაკარგული ჯარისკაცი მხოლოდ მტრის სამიზნეა, სხვა არაფერი და სწორედ ჩვენი ქვეყნის გამარჯვების რწმენას უნერგავდა „მცირემიწელებს" თავისი სიტყვითაც და საქმითაც უმტკიცესი რწმენის ადამიანი, თავდადებული პატრიოტი, ღრმად ერუდირებული ხელმძღვანელი, თანამებრძოლების საუკეთესო მეგობარი და თავისი საქმის დიდი მცოდნე, გონებაგამჭრიახი ორგანიზატორი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი. ეს რწმენა იყო ის იარაღი, რომელმაც ჯოჯოხეთური ცეცხლის ქვეშ გააძლებინა „მცირემიწელებს". სამშობლოს გამარჯვების რწმენით იბრძოდა იქ ყოველი სანგარი, მიწური თუ საცეცხლე წერტი.


ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ. ბრეჟნევი (ზის მარჯვნიდან მეორე) და ვ. ზარელუა (ზის მარცხნიდან მეორე) მე-18 არმიის ოფიცერთა ერთ ჯგუფთან. 1942 წ.

ზრუნავდა რა ჯარისკაცების მხნეობასა და მაღალ საბრძოლო სულისკვეთებაზე, პარტიული მუშაკი სანგრებში მდგარ მებრძოლს არ უმალავდა, რომ მტერი ძლიერი იყო და ყველას დიდი საფრთხე ელოდა. რომ ჯარისკაცს მეტი სიფხიზლე გამოეჩინა, ამაოდ არ დაეღვარა სისხლი, თოფის წამალიც ისე გონივრულად გამოეყენებინა, რომ ტყვია თუ ჭურვი ყოველთვის მიზანში მოეხვედრებინა — მხოლოდ მაშინ იქცევა „მცირე მიწა" გერმანელთა დიდ სასაფლაოდო.

არმიის სარდალი და პოლიტგანყოფილების უფროსი ხშირად მიდიოდნენ არა მარტო პოლკების სამეთაურო პუნქტებში, არამედ ასეულებისა და ოცეულების მეთაურთა გვერდითაც დგებოდნენ, როცა ეს საჭირო იყო ცეცხლის ხაზზე მყოფი მებრძოლების გასამხნევებლად საპასუხისმგებლო ბრძოლების წინ.

მებრძოლებმა გულზე დაიბეჭდეს დიდი რწმენა: ამ პლაცდარმიდან ფეხის მოცვლა დიდ უბედურებას ნიშნავს; „მცირე მიწაზე" არა მარტო საკუთარ თავს, სამშობლოს ბედ-იღბალს ვიცავთო.

როდესაც ჯარისკაცს მეთაური უყვარს და მისი სჯერა, ეს სიყვარული და რწმენა რას არ შეაძლებინებს!

ერთხელ ასეთი ამბავი მოხდა: კატერი, რომლითაც ბრეჟნევი „მცირე მიწას" მიუახლოვდა, ნაღმს გადააწყდა. აფეთქების ტალღამ იგი გონწასული გადაისროლა ზღვაში. მეზღვაურები არ დაიბნენ, თავგანწირულად ეკვეთნენ ტალღებს და სასწაულით გადაარჩინეს იგი.

ასეთ ხიფათს მრავალჯერ გადაურჩა ლეონიდ ბრეჟნევი „მცირე მიწაზე" და შემდეგაც. მაგრამ ამან კი არ დააშინა, უფრო გაათამამა. უკვე იმდენჯერ ვაჯობე სიკვდილს, ამიერიდან სულ ვერაფერს დამაკლებსო.

ბევრი ვაიუბედურება გადაგვხვდა თავს. ახლა უკვე საამაყოა იმ დღეთა მოგონება. თითქოსდა უსაშველო ძნელბედობის ჟამს ჩვენმა ადამიანებმა, ჯარისკაცებად ქცეულმა გუთნისდედებმა, მწყემსებმა, მჭედლებმა, მუშებმა თუ სტუდენტებმა, მართლაც, უჩვეულო სიმამაცე გამოიჩინეს, ჭეშმარიტად გმირული სული გამოავლინეს.

„მცირე მიწამ" დიდი ბრძოლები გადაიხადა. მტერი ყოველ ღონეს ხმარობდა მის მოსასპობად, რადგან ეს პატარა პლაცდარმი დანასავით ყელში ჰქონდა გაჩხერილი.

ქვას ქვაზე ადუღებდა გაავებული ცეცხლი, შიშველი კლდეები ვეღარ უძლებდა ცეცხლის თაკარებას და გრუხუნით სკდებოდა, ომის ცეცხლი ეკი-



სურათზე (მარცხნიდან): ლ. ბრეჟნევი, ვ. ზარელუა და კ. ლესელიძე. 1942 წ.



ეს სურათი ლ. ი. ბრეჟნევმა უსახსოვრა ვ. ე. ზარელუას 1944 წელს.

და აფეთქებებით აცახცახებულ მხურვალე ზეცას, ცეცხლი ეკიდა აგანგაშებულ და აშადრევნებულ ზღვას, ცეცხლი ეკიდა ქურვებით, ბომბებით და ნაღმებით დაჩეხილ მიწას, გეგონებოდათ, დედამიწას გული ეწვისო, კვამლი ყომრალ ღრუბლებად ადიოდა ცაში და ამ ჯოჯოხეთურ ცეცხლში „მცირე მიწა“ მაინც ცოცხლობდა.

სისხლი სისხლზე ილვრებოდა, მაგრამ ცრემლი კი — არა, რადგან გმირები არასოდეს ტირიან! თუ ეცემოდნენ განგმირულნი, ეცემოდნენ ისე, რომ თავის ერთ სიკვდილს მტერს ასმაგი სიკვდილით აზღვევინებდნენ, სიკვდილითვე თრგუნავდნენ სიკვდილს, რომ შემდეგ საფლავებად ქცეულ თავიანთ სანგრებზე ძეგლებად წამომდგარიყვნენ.

წინანდებურად ცოცხლობდა ომის ცეცხლსა და თოფის წამლის ბოლში გახვეული მიწა-წყალი, გამარჯვების რწმენის მზით გამთბარი სანგრები და მიწურები, ამიტომაც იყო, რომ ფრონტის ეს უბანი ქედმოუხრელ „ცეცხლოვან მიწადაც“ მოინათლა.

გერმანელებმა უპირველეს მიზნად დაისახეს: რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, „მცირე მიწის“ სახსენებელიც კი უნდა მოვსპოთ ზუსტად ჩვენი ფიურერის დაბადების დღეს, ოც აპრილსო და ცეცხლის ნიაღვარი დაუშინეს იქაურობას, მაგრამ ამჟამადაც კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ, ოდნავადაც ვერ აისრულეს გულის წადილი; როგორც ზღაპარში, სფინქსისებურად ფერფლიდან დგებოდნენ წითელვარსკვლავიანი მებრძოლები და გაბოროტებულ მტერს დღეს ულამებდნენ.

ეს დაუმარცხებელი პლაცდარმი შვიდ თვეს შეუსვენებლად იბრძოდა და მან სახელოვნად გაიმეორა გმირი ქალაქების — ოდესისა და სევასტოპოლის მაგალითი, ეს იყო კავკასიის დაცვის ცენტრალური უბანი და ეს უბანივე იქცა კავკასიის კარიბჭიდან გერმანელთა გარეკვის დამაგვირგვინებლად. აქედან დაიწყო დიდი იერიში ჯერ ნოვოროსიისკის, შემდეგ კი ტამანისა და ქერჩის მიწა-წყლის გასათავისუფლებლად. იმ დღეს ლესელიძის მრავალეროვან არმიასთან ერთად თითქოს კავკასიონის ჭალარა მთებიც დაიძრნენ მომხდურთა გასათელად.

ლეონიდ ბრეჟნევი ჯარისკაცებთან ერთად შევიდა დანგრეულ და ფერფლადქცეულ ნოვოროსიისკში 1943 წლის 16 სექტემბერს.

იოლი ფრონტული გზა არც მერე გვქონია. მახსოვს, ორი დღის შემდეგ ანაპის მიმართულებით ჩვენი სატანკო ბატალიონის ბრძოლას თვალყურს ადევნებდნენ სიმონ კოლონინი და ლეონიდ ბრეჟნევი. წითელვარსკვლავიან ბატალიონს შავსვასტიკიანმა ტანკებმა შემოუტიეს, უთანასწორო ბრძოლაში ჩვენებმა უკან დაიხიეს. გერმანელთა ტანკები ჩვენს ქვეითებს, ალბათ, კალოსავით გალეწავდნენ, მაგრამ ამ დროს უცებ ერთ-ერთ ტანკზე ბრეჟნევი და კოლონინი აღიმართნენ და განკარგულება გასცეს, წინ წასულიყვნენ. უკან დახეული ბატალიონი შებრუნდა და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში იმ ტანკს გაჰყვა. როდესაც გერმანელთა რამდენიმე ტანკს ცეცხლი გაუჩნდა, მოწინააღმდეგე უკან გაბრუნდა; ჩვენს ქვეითებს გზა გაეხსნათ და მალე ანაპა ავიღეთ. „ცისფერი ხაზი“ გერმანელებს „შავ ხაზად“ გადაექცათ.

ჯარისკაცებს ძმასავით შეუყვარდათ არმიის პოლიტსამმართველოს უფროსი ლეონიდ ბრეჟნევი და მუდამ თვალისჩინივით უფრთხილდებოდნენ მის სიცოცხლეს, ეხვეწებოდნენ ხოლმე, ასე ხშირად მოწინავე ხაზზე ნუ მოდიხართ და მტერს პირისპირ ნუ უდგებითო, მაგრამ იგი თავისას არ იშლიდა, რადგან საკუთარ ბუნებას და სულიერ მოთხოვნილებას ვერ ღალატობდა. იყო შემთხვევები, როცა ბრეჟნევი მწყობრიდან გამოსულ მეტყვიამფრქვევეხაც კი ცვლიდა და მტრის საცეცხლე წერტებს სპობდა.

აქ ვლადიმერ ზარელუამ თხრობა დაამთავრა.

— კიდევ, კიდევ მიამბეთ რამე! — ვთხოვე მე, — რადგან ყოველთვის უფრო საინტერესოა, როდესაც გარდასული ბრძოლების ამბებს უშუალო მხილველი და ცოცხალი მოწმე ჰყვება. მართალია, მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა და ყველაფრის გახსენება აღარ ხერხდება, მაგრამ მაინც...

— საამბობს რა გამომილევს! — ენერგიულად შემომხედა ვლადიმერმა, — ფრონტზე ლეონიდ ბრეჟნევის მეომრული სიმამაცისა და ადამიანური გულთბილობის ყველა ამბავი რომ გავიხსენო, ცხრა რვეულში არ ჩაგეტევათ, ამჟამად ეს ვიკმაროთ, ზოგი რამ მომავლისთვის შემოვინახოთ. მე მხოლოდ ერთს დავძენ: როდესაც მომავალი თაობები დიდი სამამულო ომის მატიანეს გადაფურცლავენ, იქიდან სხვა გმირ ქალაქებთან ერთად გამოანათებს ცეცხლოვანი „მცირე მიწა“ და იმ მიწაზე ზღაპრული სიმამაცით მებრძოლი გმირები, გამოანათებს დიდი შუქი და ამ შუქის შარავანდედში ერთად აღიმართება ორი სულიერი ძმის, კონსტანტინე ლესელიძისა და ლეონიდ ბრეჟნევის მონუმენტური ფიგურები, სიმბოლურობამდე განზოგადებული ფიგურები არმიის სარდლისა და პარტიული მუშაკისა, ერთი დიდი სამშობლოს ორი მოძმე ერის შვილებისა, ისინი ხომ ერთად ჭედავდნენ იმ დიად გამარჯვებას, რომელმაც რაიხსტაგის გუმბათზე წითელი დროშაააფრიალა.

როდესაც ლეონიდ ილიას ძეს ვხვდები, ახლაც დიდი პატივისცემით იგონებს ფრონტელ მეგობარს, გამოჩენილ მხედართუფროსს კონსტანტინე ლესელიძეს და ყველა მის თანამებრძოლს.

მე რომ მკითხონ, ჩვენმა ქვეყანამ იმ ძნელ ომში იმიტომაც გაიმარჯვა, რომ მტერს ასეთი ადამიანები ებრძოდნენ — მოყვრებთან უაღრესად ადამიანურნი და მტრებთან თავდაუზოგავად დაუნდობელნი, მათი გული სავსე იყო ფაშისტების სიძულვილით და ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხის უზომო სიყვარულით.

ორივე ეს გრძნობა უმძლავრესი იარაღი იყო სამკვდრო-სასიცოცხლო ომში.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი ახლა, ალბათ, იშვიათად იცლის გარდასული ბრძოლების მოსაგონებლად, მას ხომ ჩვენი დიდი სამშობლოს ბედი აბარია და არამარტო ჩვენი სამშობლოს ბედი!.. იგი მთელ თავის ენერგიას, ძალ-ღონესა და ნიჭს ახმარს საბჭოთა კავშირის მატერიალური და კულტურული აღმავლობის დიად საქმეს, ჩვენი ქვეყნის ძლიერების განუწყვეტელ ზრდასა და საერთაშორისო ავტორიტეტის გაძლიერებას, გამარჯვებიდან გამარჯვებამდე მიჰყავს მრავალეროვანი სამშობლო. ამავე დროს, ჩვენი ეპოქის დიდი ადამიანი, მშვიდობისათვის თანმიმდევრული და სწორუპოვარი საზოგადო მოღვაწე მთელი დედამიწის ტოლი საზრუნავითაა დატვირთული.

მშვიდობა ყველას უყვარს, ომგადახდილ ადამიანს კი — ათასჯერ მეტად.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა თავისი თვალით ნახა ომით დატრიალებული დიდი უბედურება, უმოწყალოდ დაღვრილი ადამიანთა სისხლი, დამწვარ-დაფერფლილი ქალაქები და სოფლები, ამიტომ სხვებზე უკეთ იცის მშვიდობიანი ცხოვრების ფასი და პირველთაგანია იმ მოღვაწეთა შორის, ვინც მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის იბრძვის.

მრავალეროვანი საბჭოთა ხალხის ბედნიერებაა, რომ ჩვენი ქვეყნის საჭე, მისი ბედ-იღბალი ასეთ ადამიანს აბარია!

და ვლადიმერ ზარელუამ თავის კაბინეტში დაკიდებულ ლეონიდ ბრეჟნევის დიდ სურათს ღიმილით შეხედა.

აკაკი გეწაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემს ბავშვობაში ასეთი თქმულება გამიგონია: ვითომ ერთმა ბერმა ხელჯოხი შუაზე გადახსნა, შიგ აბრეშუმის ჭიები მოათავსა და ისე ჩუმად გამოიტანა ძველი ჩინეთიდან აბრეშუმის დამზადების საიდუმლოება. თვალწინ ცხადად მედგა ის თავდადებული ბერი, ვინც ალბათ დიდი გაჭირვებით გადმოლახა უშორესი გზა საქართველომდე და პატარა ხელჯოხით მოიყვანა თავის ქვეყანაში ეს სასწაულის მქნელი ჭიები და იმ დღიდან საქართველოშიც დაიწყო აბრეშუმის მზადება.

საქართველოში რომ აბრეშუმი ძველთაგანვე უმზადებიათ, ამის დასადასტურებლად ბევრი ისტორიული წყარო არსებობს, თვით ვახუშტი ბაგრატიონი ჰერეთისა და კახეთის აღწერისას ასეთ ცნობას გვაწვდის: და არს ქვეყანა ესე შემკული ყოვლისა და უმეტეს კახეთის ადგილსა, წყლისა, წყაროთი, მდინარისა, ტყისა, ველისა, მოსავლის ნაყოფიერებისა, ვენახისა, ხილისა, რამეთუ ტყენიც ხილნარითა სავსე არიან, ნადირნი, ფრინველნი, თევზნი მრავალნი, და უმეტეს კალმახი მთის კერძოდ, სახლობენ მდევარნი და აზნაურნი და არიან მხნედ მბრძოლნი, და ჰერეთის ქვეყანას აკეთებენ ყოველგვარ აბრეშუმს, არამედ უფროს გაღმა-მხარსა შინა და უმეტეს ელისენში.

აბრეშუმის დამზადებამ დიდი გასაქანი ჰპოვა საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში, მთელ რიგ სოფლებში შეიქმნა საგანგებო ფარდულები, საბრეშუმე ბრტყელფოთოლა თუთის ხის პლანტაციები. სახელოვან მევენახეებს, თუ მწყემსებს, მეჩაიეებსა თუ მწველავებს გვერდში ამოუდგნენ სახელგანთქმული მეაბრეშუმეები, ამ საქმის ნოვატორები და უხვი მოსავლის ოსტატები.



ნინო არსენაშვილი.



ფატი დედაბრიშვილი.

# სტუმრად გამარჯვებულ მშენებლებთან



ხობის სანაშენო მეცხოველეობის კომპლექსი.

დავით გიჩაძე.

ანზორ გოგოლაძის ფოტო.

ხობში ზუსტად მშენებლის დღეს მომიხდა ჩასვლა. პარტიის ხობის რაიკომის მდივანმა ვახტანგ დოლბაიამ გულთბილი მოკითხვის შემდეგ პირდაპირ საქმეზე დაიწყო საუბარი:

— ამ დროს ჟურნალისტის სტუმრობა სასურველია. ეს-ეს არის მოსკოვიდან დეპეშა მივიღეთ, ჩვენი რაიონის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციამ მეორე კვარტალის შედეგების მიხედვით საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვა და სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობის სამინისტროსა და მშენებლობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია მოიპოვა.

გადავწყვიტე, გამარჯვებულ მშენებლებს ვწვეოდი. ჩემმა თანამოსაუბრემ მეგზურობა აღმითქვა.

გზად რაიონის ყველაზე დიდი სამშენებლო ობიექტი — მეძროხეობის საკოლმეურნეობათაშორისო კომპლექსის მშენებლობა ვინახულეთ. იგი მალე დამთავრდება. მშენებელთა თავკაცი ვლადიმერ (იგივე ხუტა) ბერაია იქ ათევს და ათენებს, ხშირად თვითონაც ფიზიკურად მუშაობს.

— გული არ მითმენს, საქმე ბევრია, ამ დროს ძნელია მარტო მითითებებს დასჯერდე, შენ თვითონ უნდა უჩვენო მაგალითი! — ამბობს ხუტა.

ხუტა ამჯერადაც ხარაჩოებზე იდგა. ეს შავგვრემანი, მკვრივი, მხრებგანიერი, ბრგე ვაჟკაცი მოფუსფუსე მშენებლებში ჩამდგარიყო და მითითებას აძლევდა, მუშებიც უყოყმანოდ იღებდნენ ხელმძღვანელის შენიშვნებს. ჩვენს დანახვაზე შეცბა, არ გველოდა. სწრაფად გამოეყო მშენებლებს და გულთბილად მოგვესალმა.

— სასიხარულო ამბავი უნდა გაუწყოთ, საკავშირო ჯილდოს გილოცავთ! — დინჯად წარმოთქვა რაიონის კომუნისტების ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა და ძმურად გადაკოცნა მშენებელთა თავკაცი.

ხუტა ჯილდომ უსაზღვროდ გაახარა, მადლობის ნიშნად თავაზიანად დაგვიკრა თავი, შემდეგ სამშენებლო ობიექტის დასათვალიერებლად გაგვიძღვა. მეძროხეობის კომპლექსის ტერიტორია შვიდ ჰექტარზეა გადაჭიმული. ეს არის თანამედროვე სტილის, მოწინავე ტექნიკით აღჭურვილი, მძლავრი სასოფლო-სამეურნეო საწარმო, სადაც ყველა შრომითი პროცესი მექანიზებული და ავტომატიზებული იქნება. კომპლექსს, ანუ რძის ფაბრიკას, გარშემო წყლის საწრეტი არხებით დასერილი სათიბ-საძოვრები აკრავს.

ცკალში გვეცემათ ოციოდე მეტრი სიმაღლის მრგვალი, აგურით ნაშენი კოშკი. ის უხვად აწვდის წყალს პირუტყვის სადგომებს. ცოტა მოშორებით რამდენიმე ვრცელი კაპიტალური ნაგებობა აღმართულა. მათ შორის სამი სადგომი — თითოეული 200 სული ჯიშიანი ძროხისთვის არის გათვალისწინებული. ცალკეა სახბორეები, საკვების შესამზადებელი საამქრო, საწველი მოედანი, რძის გადამა-



ვერიკო ბერძენაშვილი.

# ინებეთ, აბრეშუმები!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვობიდანვე მესმოდა სახელგანთქმული მეაბრეშუმის ახმეტელ ოსანა აივაზაშვილის სახელი. მისი საქმიანობა სათანადოდ დააფასა ხელისუფლებამ, მთავრობის უმაღლესი ჯილდოები მიანიჭა და იგი მაგალითად იქცა მთელი შემდგომი თაობებისთვის, ვინც ამ მეტად ფაქიზ საქმიანობას მიჰყვებიან.

ახმეტაშიც და თელავშიც, ყვარელსა და გურჯაანშიც, საერთოდ მთელს კახეთში დიდი გატაცებით მისდევენ დღეს აბრეშუმის საქმეს. მთელ რიგ სოფლებში ბევრია სახელოვანი მეაბრეშუმე, ვინც სხვა შრომასთან ერთად ამ ფაქიზ საქმიანობასაც ითავსებენ, რადგან აბრეშუმი სეზონური სამუშაოა და დიდი-დიდი თვენახევარს გაგრძელდეს, მაგრამ ჩვენ ამჟამად უნდა მოგითხროთ იყალთოელ მეაბრეშუმეებზე.

თელავის რაიონში იყალთო ერთ-ერთი პირველთაგანია მეაბრეშუმეობაში. არავინ იცის რა დროიდან მოდის, ან რამ განაპირობა აბრეშუმის ჭიისადმი ის სიყვარული, რასაც აქ იჩენს თვითეული მეაბრეშუმე, სულერთია ის კოლმეურნეა თუ პედაგოგი, დიასახლისი თუ პენსიონერი.

— იყალთოში, — ამბობს უბნის მეაბრეშუმე — ინსტრუქტორი ფატი დედაბრიშვილი, — თითქმის არავის სჭირდება ხვეწნა-მუდარა, თავიანთი ნებასურვილით იღებენ ჭიის თესლს, ხოლო უმეტესობა ორმაგ და სამმაგსაც.

თვითონ ფატი დედაბრიშვილი ექვსი წელია უბნის მეაბრეშუმე — ინსტრუქტორად მუშაობს იყალთოში. თვითონაც რიგითი მეაბრეშუმე იყო ერთ დროს, ბავშვობიდანვე ოჯახში შეიყვარა ეს საქმე და აი, ახლა უკვე სპეციალისტი საუცხოოდ უძღვება თავის უბანზე ამ საქმეს.

იყალთოელი მეაბრეშუმეები თითქმის ყოველწლიურად გადაჭარბებით ასრულებენ აბრეშუმის პარკის ჩაბარების გეგმას. შარშან 900 გრამი აბრეშუმის ჭიის ნაცვლად სოფელმა 1015 გრამი აითვისა და გეგმიური სამი ტონის ნაცვლად 4 ირნა მაღალხარისხოვანი ჭიის პარკი ჩააბარა. წელს კი 1015 გრამი ჭიის ნაცვლად სოფლის მეაბრეშუმეებმა 1115 გრამი აითვისეს.

სოფელში ბევრია სახელოვანი მეაბრეშუმე, ვინც ყოველწლიურად გადაჭარბებით ასრულებს გეგმას.

მოწინავეთა შორის პირველ რიგში დგას ნინო არსენაშვილი. ეს ამაგდარი ქალი, მრავალშვილიანი დედა, კოლმეურნეობაშიც ბეჯითად მუშაობს და აბრეშუმის საქმეში ხომ ტოლს არავის არ უდებს. მე გაოცებას ვიყავ, როცა სხვა მეაბრეშუმეებმა

---

მუშავებელი ბლოკი, მაცივარი, მეცხოველეთა დასასვენებელი სახლი, სასილოსე და სასენაჟე ტრანშეები. კომპლექსის ცენტრში ადმინისტრაციული სახლი წამომართულა. გზები და მოედნები მოასფალტებულია და ელნათურებით არის გაჩახჩახებული.

„მეცხოველეთა ქალაქს“ საფუძველი ერთი წლის წინათ ჩაეყარა. ძალზე მოკლე დროში შესრულდა დიდი მოცულობის სამუშაო. ახლა დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ კომპლექსი მალე შევა ექსპლოატაციაში.

პირველი საკოლმეურნეობათაშორისო გაერთიანება, რომელიც ხობში შეიქმნა, აღნიშნული სამშენებლო ორგანიზაციაა. მან გააერთიანა ათობით წვრილი სამშენებლო ბრიგადა, რომლებიც კოლმეურნეობებში იყო დაქსაქსული. გაერთიანებას პირველ ხანებში არ გააჩნდა ინდუსტრიული ტექნიკა და მშენებლობას ეჭვის თვალით უყურებდნენ.

ამჟამად რაიონში ოთხი სამშენებლო კოლექტივია, მაგრამ ყველაზე მეტი დამკვეთი კოლმეურნე მშენებლებს ჰყავთ.

ამ ორგანიზაციამ მას შემდეგ მოიხვეჭა ავტორიტეტი, როცა მას სათავეში ჩაუდგა ინჟინერი ხუტა ბერაია. მისი ხელმძღვანელობით მოკლე ხანში „კოლმშენი“ (როგორც მაშინ ეძახდნენ) ერთ-ერთი მსხვილი და თანამედროვე ინდუსტრიული ტექნიკით აღჭურვილი მოწინავე ორგანიზაცია გახდა რესპუბლიკაში, რომელმაც მრავალჯერ დაიმსახურა საკავშირო ჯილდოები — დროშები, პრემიები, სიგელები. მშენებელთა თავკაცმა და რამდენიმე მშენებელმა მკერდი ორდენებით და მედლებით დაიმშვენეს.

ადმინისტრაციული და კულტურის სახლებით, სკოლებით, კულტურის, ჯანმრთელობისა და განათლების მრავალი სხვა კერით დაამშვენეს მშენებლებმა საჯიჯაოს, ახალი ხიბულის, პატარა ფოთის, ჭალადიდის, ძველი ხიბულის მიდამოები.

მეცხოველეობის სანაშენე და ხბოების გამოსაზრდელი სამეურნეობათაშორისო კომპლექსები, მეფრინველეობის ფაბრიკა, მინერალური სასუქებისა და შხამქიმიკატების საწყობები, მარცვალსაცავები, საყოფაცხოვრებო მომსახურების და სავაჭრო ობიექტები, ტექნიკის შესანახი ფარდულები, პირუტყვის სადგომები, სასილოსე და სასენაჟე ტრანშეები... რომელი ერთი ჩამოვთვალოთ. მშენებელთა ყველაზე დიდი გამოცდა მდინარე ხობისწყალზე 110 მეტრი სიგრძის კაპიტალური ხიდის აგება იყო, რომელსაც ხობი-ხიბულის გზის მოასფალტება მოჰყვა, ამით ჩხოროწყუს რაიონი უმოკლეს გზით ხობსა და ფოთს დაუკავშირდა.

ხობელმა მშენებლებმა სხვა რაიონებისა და ქალაქ ფოთის მკვიდრთა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურეს. მაგალითად, აბაშელებს აუგეს ბანკისა და შემნახველი სალაროს შენობა, აშენებენ მეცხოველეობის ერთ-ერთ უდიდეს სასუქ კომპლექსს. ფოთში ააგეს პროფტექნიკური სასწავლებლის შენობა, გემთშემკეთებელი და ჰიდრომექანიზაციის ქარხნების მუშა-მოსამსახურეთათვის აგებენ საცხოვრებელ სახლებს.

მშენებლები ზრუნავენ სამუშაოთა თვითღირებულების შემცირებისათვისაც, მათ ბევრი ადგილობრივი რეზერვი გამონახეს. გაერთიანების საამქროებში მზადდება მცირე მოცულობის ბლოკი, მდინარე ხობისწყლის ნაპირზე იღებენ სამშენებლო სილასა და ქვიშას, შენობათა საძირკვლისა და ცოკოლისათვის ურთის მთის თეთრ ქვას იყენებენ, რითაც დიდძალ თანხას ზოგავენ და შენობათა მარგი ქმედების ვადებსაც ზრდიან

ამ საქმის ინიციატორები არიან ხობელი ზლობინელები: დურუ ცხადაია, ნოდარ გერგაია, აპოლონ ცხადაია, არსენ სარჩმელია, ეფრემ გაბისონია, ნაპო შარაბიძე და სხვები, რომელთა მოიჯარადრე ბრიგადებმა უკვე დახურეს მეათე ხუთწლედის პირველი წლის კალენდარი და ახლა 1977 წლის ანგარიშზე შრომობენ.

მშენებელთა უმრავლესობა ერთდროულად რამდენიმე პროფესიას ფლობს. ძმები აპოლონ, გიორგი და რაჟიკო ცხადაიები ერთ ბრიგადაში მუშაობენ; ისინი კალატოზებიც არიან, მებათქაშეებიც, მეარმატურეებიც და ხუროებიც. რომელი სამუშაოცაა საჭირო, მას ასრულებენ, ამიტომაც მიდის საქმე კარგად.

მშენებლებს კარგი ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი ჰყავთ. გაერთიანების მთავარი ინჟინერი ანზორ ლორჩოშვილი და სამუშაოთა მწარმოებელი ზაალ კვირკვაია ყოველთვის იმ უბანზე არიან, სადაც მეტი სიძნელეა. ისინი მუშების სული და გული არიან, სწორედ ამიტომ დაიმსახურეს კოლექტივის სიყვარული.

მშენებლებს ხალისს მატებს შრომის მაღალი საზღაური. ხელფასის უწყისში მეექსკავატორე კარლო ქორიძის გვარის გასწვრივ ყოველ ორ კვირაში 170-180 მანეთი წერია; ასეთი აქ ბევრია. მუშებს კარგი საყოფაცხოვრებო პირობები აქვთ. მათ განკარგულებაშია შესანიშნავი კლუბი, სასადილო, მაღაზია... მუშები სამშენებლო ობიექტებზე სპეციალური ავტობუსებით გადაჰყავთ, ბევრმა საკუთარი ავტომანქანა შეიძინა.

ხობში საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციის მშენებლებს თანამედროვე არგონავტებს უწოდებენ. ძველი არგონავტები თუ ამ ზღაპრულ კუთხეში „ოქროს საწმისის“ მოსატაცებლად მოვიდნენ, ჩვენი დროის არგონავტები ახალ კოლხეთს აშენებენ, ახალ ყოფას ამკვიდრებენ.

მათი ნახელავი უფრო მეტ შნოსა და ეშხს რომ მატებს ამ ზღაპრულ მხარეს, მუდამ ეპოქის შესატყვისია — მკვიდრი, ლაზათიანი და იაფი.

დაელოცოთ მარჯვენა ამ ადამიანებს!

აბაშის მესაქონლეობის კომპლექსის მშენებლობაზე (მარცხნიდან): ბრიგადირი დ. ცხადაია, სამმართველოს მთავარი ინჟინერი ა. ლორჩოშვილი და სამუშაოთა მწარმოებელი თ. შელია.



მითხრეს, ნინო არსენაშვილმა წელს 35 გრამი აბრეშუმის ჭია აიყვანაო. ოცდახუთმეტი გრამი აბრეშუმის ჭიის მოყვანა თუ რა დიდ შრომასა და სიბეჯითეს მოითხოვს, ეს ყველამ კარგად იცის, ვინც კი ამ საქმეში ცოტათი მაინც არის ჩახედული. აბა წარმოიდგინეთ რა უნდა იყოს ოცდახუთმეტი გრამი, მაშინ, როცა, ხუთ-შვიდ გრამზე მეტი ერთ ოჯახს იშვიათად თუ მოჰყავს.

მახსოვს პირველად ასანთის კოლოფით მოიყვანდნენ ხოლმე ოთახში ჭიას. ვერ წარმომედგინა ხოლმე თუ ეს ერთი მუჭა ჭია რამდენ შრომას მოითხოვდა. ოთახში მაშინვე დაანთებდნენ ცეცხლს, სითბოს დააყენებდნენ და პაწია ლასტზე მოფენდნენ ამ ჭიებს.

— არ დაუსტვინო, არ იხმაურო თორემ ჭია დაურუვდება — მაფრთხილებდა ხოლმე დედაჩემი.

გავიდოდა ერთი კვირა და რასა ვხედავდი, ის ერთი პაწია ლასტი ხუთ დიდ ლასტად გადაიქცეოდა და მთელ ვეება ოდას დაიკავებდა. დღითიდღე მსხვილდებოდნენ ჭიები, დღეში სამ-ოთხ გზობას ეზიდებოდნენ ფურცლის ტოტებს და დარჩეულ ფურცელს უყრიდნენ ჭიებს. ვეღარა და ვეღარ ძღებოდნენ. ხუთ-შვიდი გრამი ჭიის გამოკვება მთელ ოჯახს უჭირდა.

ეს ამბავი რომ მახსოვს, იმიტომ უფრო გავოცდი ნინო არსენაშვილზე ოცდახუთმეტი გრამი ჭია ან როგორ უნდა გამოკვებოს, ან სად უნდა დატიოსმეთქი, მაგრამ საქმის სიყვარული თურმე ყველაფერს შეაძლებინებს ადამიანს.

ორმოცი დღის განმავლობაში, ვიდრე აბრეშუმის ჭია საპარკედ დაიწყებს ჭამას და შეიცახება, რამდენი მზრუნველობა, ჯაფა და ხელისშეწყობა სჭირდება სითბო, სისუფთავე, სიწყნარე და რაც მთავარია ჭამა, გაუთავებული ჭამა, რათა პარკი ხარისხიანისც იყოს და გამოსავლიანიც. თვითეული ფოთოლი, რომელსაც ჭია სჭამს, ხომ აბრეშუმად გარდაიქმნება.

ორმოცი დღის შემდეგ კი ნამდვილი სასწაული იწყება, უკვე მობერებული ჭია იწყებს პარკის მოქსოვას და საკუთარი თავის დასამარებას. ჭიას შეინახავენ, ესე იგი გარეშემო შემოუწყობენ კუტი რცხილის ჯამს და მის ტოტებს თეთრად და ყვითლად მოედებიან მრგვალი პარკები.

აქედან იწყება საბოლოო შრომა. ცახს მოაცლიან აბრეშუმის პარკს, დაახარისხებენ და ქარხანას ჩააბარებენ, საიდანაც უკვე ნამდვილი აბრეშუმი გამოვა... ერთი გრამი აბრეშუმის ჭიიდან გეგმით 8 კგ. 700 გრამი პარკი უნდა მიიღოს კარგმა მეაბრეშუმემ, ნინო არსენაშვილი კი ხშირად ოთხ კილოგრამსაც იღებს.

იყალთოში ნინო არსენაშვილს ტოლს არ უდებენ სახელოვანი მეაბრეშუმეები ვერიკო ბერძენაშვილი, შურა ბაზერაშვილი, ელისო ლაჩაშვილი, ჟენია ბაჩიაშვილი და სხვები. თითქმის ყოველწლიურად გადაჭარბებით ასრულებენ გეგმას ისინი და სწორედ მათი წყალობაა, მათი თავდადებული შრომის შედეგია ის, რომ იყალთო მთელ რაიონში მოწინავე სოფლად ითვლება მეაბრეშუმეობის დარგში.

როცა ამ ნარკვევს ვწერდით იყალთოელი მეაბრეშუმეები უკვე პარკის მოსავალს იღებდნენ. მიუხედავად უამინდობისა და სიცივისა, იყალთოელმა მებრეშუმეებმა ყველაფერი იღონეს პარკის კარგი მოსავლისათვის, არც სითბოს აკლებდნენ ჭიას, არც კვებას და ამან თავისი შედეგიც გამოიღო. ძველ ტრადიციას არ უღალატეს მეაბრეშუმეებმა, გეგმასაც გადააჭარბეს და ხარისხიანი პარკიც მისცეს სამშობლოს. რაიონში პირველობა არავის დაუთმეს.

ვახუშტი ბატონიშვილი ალბათ ასე ჩასწერდა დღეს თავის ქართლის ცხოვრებაში: „ჭერეთის ქვეყანას აკეთებენ ყოველგვარ აბრეშუმს არამედ უფროს გამოღმა მხარსა შინა და უმეტეს იყალთოში“.

სოლომონ დემურხანაშვილი

# უკრაინული პოეზიიდან

## მიკოლა ნაგნიბედა

### პური

ნუ გეგონება, შვილო, ზღაპარი,
მწუხარე ველებს მე ახლაც ვხედავ,
სადაც დაღლილი და ნაჯაფარი
დედა ძველმანში სათუთად მხვევდა.

თუმცა გამქრალა იმ კვამლის სუნი,
გულში ყველაფერს ინახავს სტეპი.
არ დავცემულვართ ერთხელაც სულით —
დიდხანს ვიარეთ ეკლიან გზებით.

შვილო, ადვილად მიხვდები, ალბათ,
რამდენჯერ ჩაქრა ცაზე ვარსკვლავი.
ყოვლის მნახველი ველების ამბავს
მე წაგიკითხავ პოემასავით.

ამ პოემაში იქნება ბევრი
სისხლი, ცრემლები, მოთქმა დედების,
ხალხის ნება და უკვდავი ერის
გამარჯვებები და იმედები.

უმალ შეიგრძნობ ახალი ძალით,
რასაც აგიხსნის შემდეგი გვერდი,
ყორლანზე ბოგდან ხმელნიცკის ჯარი
მტრის ურდოს როგორ ეკვეთა მკერდით.

მოგელანდება უცნობი სახე
და წარმოიდგენ ანაზდად ჩუმაკს...
როცა ბატონი მოუქნევს სახრეს
მოჯამაგირეს, იტირებ ჩუმად.

მაგრამ ჩონგარა! მაგრამ სივაში!
როცა გადაშლი მომდევნო ფურცელს, —
მჯერა, თოვაშიც და სიცივეშიც
მათი ხსენება გაგათბობს უცებ.

გადაიარეს თალხმა ღრუბლებმა —
გათავდა, კმარა, რაც ცრემლი ღვარეს.
შენ უკვე ხვდები, თავისუფლებას
ვით შეეგება მშობელი მხარე.

შენ უკვე ხვდები, შენაც გეკუთვნის,
აი, ეს მიწა — სამოთხის ბაღი,
თავისუფალი, როგორც მეგუთნის,
როგორც მთესველის სიმღერა ლაღი.

როგორც მეგუთნე, ისე მთესველიც
ხარობს: აუხდათ, რაც უნატრიათ,
და რასაც თვალით ვეალერსები,
მათი ალალი შრომის მადლია.

შვილო, ცხოვრებას შენ ახლა იწყებ,
ამ გვერდს გულგრილად ნუ ჩაათავებ,
სადაც აგვისტოს ცახცახა სიცხე
არწევს და აშრობს პურის თავთავებს.

გაიზრდები და მიხვდები ბოლოს:
ველთა პოემა, გრძნობის ამწეწი,
მე წაგიკითხე იმიტომ მხოლოდ,
რომ დააფასო პურის ნამცეცი.

●

შინ თუ გარეთ, სუფრასთან
მარტოდ ჯდომა არა ღირს,
მეგობართან დალიე
ღვინოცა და არაყიც.

და თუ ბედმა გატარა
თოვლში ფეხებშიშველი,
გული არ გაიტეხო,
მეგობარი გიშველის.
მეც ამ დღისკენ მოვქროდი
ლაღი და ბედნიერი.

ძმობით და მეგობრობით
მუდამ ვიყავ ძლიერი.

ხალხის ერთგულესი,
მსახური და შვილი
მეგობრობის ზეიმზე
მეც ვმღეროდი ყოველთვის.

საბრალოა ის კაცი
და ვერც ივლის ამაყად,
ვისაც ქვეყნად ნამდვილი
მეგობარი არა ჰყავს.

●

შორს ვიყავ უკრაინიდან
მაგრამ სიზმარშიც ვგრძნობდი,
როგორ ჰყვაოდა სახლის წინ
ალუბლის ნედლი ტოტი;
როგორ ადნობდა ქვეყანა
ფოლადს და სჭედდა გუთანს,
რომ ძველი დარდი წუთითაც
არ მიეტანა გულთან.
ტკბილად გალობდა ბულბული
და კარპატების ტყეში
თვალებს ახელდნენ იები
ქალწულებრივი ეშხით.
მე მამხნევებდა სიზმარშიც
ქარი მშობლიურ მხარის
და დნეპრის დუდუნს ერთვოდა
შრიალი ვრცელი ყანის.
სინათლეს მფენდა კახოვკა
და ფრთაშესხმული კაცი
მსუბუქად მივაბიჯებდი
დიდი ხეების გასწვრივ...
მე ვიყავ უცხო მხარეში,
მაგრამ სიზმარშიც ვგრძნობდი —
მშობლიურ ცაზე მნათობი
ელავდა, როგორც ზოდი.

## პეტრო რებრო

●

დიახ, ვაქებ და ვადიდებ ფოლადს,
მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას,
რომ მე არ მიყვარს მაისის წვიმა
ან ველი, დილის ნისლში რომ ბოლავს.

ჩემს გულში უხმოდ ილვიძებს ლექსი,
როცა ბავშვობის დროინდელ მოტივს
მახსენებს თეთრი ალუბლის ტოტი,
ანდა — ბულბულის გალობა მესმის;

როცა აღებენ დანამულ სარკმელს
და სადღაც უკვე ყივის მამალი
და დახუნძლული იასამანი
ქარში ირწევა და სურნელს აფრქვევს.

თვალებს მიჭრელებს სიმრავლე ფერთა
და მეზმანება სოფელი, სადაც
ხან გამალებით, ხან კიდევ ზანტად
მიედინება პატარა ბერდა.

მე მახალისებს და მიტკბობს სმენას,
სულში ჩამწვდომი, ლაღი და ტკბილი,
არა ქარხნების გუგუნი დილით,
არამედ ბაღში ფრთოსნების სტვენა.

დედა-ბუნება სიმღერით მავსებს,
როგორც იმედით — ძახილი მიწის,
და მე არ მიწყენს ფოლადი, ვიცი,
რომ ეს ყოველთვის იქნება ასე.

თარგმნა ხუტა ბაგუამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნოდარ შამანაძე

### ახლა

გზა ცისკარივით გაგვეხსნა ფართოდ,
სულ სხვანაირი ქრიან ქარები;
ახლა სხვა დროა,
სხვა ნიჭი გვმართებს, სხვა უნარი და სხვა გაქანება.
დღეს საქართველოს ღვთის თვალი ახლავს,
სავსეს ბეღლებით,
მარან-ჭურებით...
ამირანები გვჭირდება ახლა,
მშობელ მიწაზე მიჯაჭვულები!

### ომის გახსენება

„შავი ქაღალდი“ — შავი ფრთა ყორნის,
მფრინავი შავად,
ჩუმად,
ქურდულად...
ვაი, ბებია!..
ცრემლებად მოდის,
მაგრა ჩაკეტე კარი ურდულით.
ჩქარა ჩარაზე კარი, ბებია,
უბედურება ჩამოდგა კართან..
ბებია ბუხარს მიფიცხებია
და თითისტარზე შავ ფიქრებს ართავს.
სულაც ვერაფერს ვერა გრძნობს მგონი,
ჩამოუღლია შვილების ლოდინს...
„შავი ქაღალდი“—შავი ფრთა ყორნის,
მოფრინავს ურცხვად,
ჯიქურად მოდის.
მოდის ნაღველად,
მოდის დარდებად,
ბებერ ორბივით დაძიძგნის გულებს...
„შავი ქაღალდი“ — ხელისდადება,
ბებიას სევდის სასახლეს უგებს.
მე ანგელოზთა მთელ გუნდს მიფეთებს,
ნაშინებს,
ავი ძაღლივით მიტევს;
დედას მიშავებს,
პაპას მითეთრებს,
მიზრავს, მიყინავს ბავშვობის კვირტებს.
„შავი ქაღალდი“ — სიბნელე დიდი,
ომში წასულთა უღვთო ლოდინი, —
ბალღს ჩამომაწვა ვეება ტვირთად
და კვლავ მომყვება მძიმე ლოდივით.

### მამა ვნახე...

ჰოი, წუხელ რა ნანატრი ღამე მქონდა,
მამა ვნახე...
როგორც იქნა, ვნახე...
აივანზე სავსე დოქი ამოქონდა,
სიხარულით გაბადროდა სახე.
ამოჯიდა,
სუფრას ღვინო შემომატა,
გვკოცნიდა და გვეხვეოდა დიდხანს;
მაგრამ უცებ დიდ-პატარა დავრჩით სახტად:
დრო არ მაქვსო,
მივდივარო, — გვითხრა.
არ ვუშვებდით,
დავეკიდეთ ჩოხის კალთას,
მაინც არ ქნა,
არ გაჩერდა წუთით.
...გამეღვიძა ცხელი ცრემლი თვალს ნაწვავდა
და მახრჩობდა ყელს მომდგარი ბურთი.

### ქორწილი სოფლად

ქორწილია, ქორწილია,
ქორწილი და რა ქორწილი!
მწდემ მზის ტოტი მოიწია
მამა-ღმერთის დალოცვილი.
მოიწია, ჩამოტეხა
და დედოფალს მიაწოდა;
სასიდედრო გადაკოცნა,
სასიმამრომ ალაწოდამ.

ქორწილია! ილხენს სუფრა,
ფართო მხრებით შეღობილი,
სუფრის თავში თვალებქუფრა
ჩანს თამადა ბექობივით.

ნეფეს თავი მეფედ მოაქვს,
იწკურება ლეგა ქორი,
მართლაც, ხელმწიფური დრო აქვს, —
გვერდით უზის ცათა სწორი.
სახლის ჭერი მაღლა იწევს,
სიტყვა ცეკვავს კალამბურად
და ხოხობი ქორის თვალწინ
მწველ ფიქრებში განაბულა.
ლხინში წუთი იქცა წამად,
წუთი წუთზე მინათვალი;
მზე ჩადის და იწურება,
პატარძალზე რჩება თვალი.
მზე ჩადის და გზავნის კოცნას,
ოქროსწამწამმოხამხამე,
და დედოფლის დასალოცად
ვერცხლის თასით მოდის ღამე.

---

## გენო კალანდია

### საქართველოს

ჩემო იაგუნდო, შე სამოთხის თვალო,
მწყემსად დაგიდგები, ჩემო დედოფალო.
ალუბლების, ნუშის, დილის თეთრი ვერცხლით,
შენი წითელქუდა ბროწეულის ცეცხლით,
წყაროებით, ტბებით, ვენახებით, მთებით,
ისრებივით ციმციმ გასროლილი გზებით,
ცხენისწყალით, ბზიფით, ალაზანით, მტკვარით,
ტყე-ტყე აფრებივით მოტკაცუნე ქარით.
ვაზით, ჩუქურთმებით გაფოთლილი ბანით,
ჟრუანტელისდარი სიმინდების ყანით,
ია-იით, ვარდით, ზეთისხილის ბაღით,
ჩაჟალტამებული მთვარის ყაისნაღით.
სალამურით, სტვირით, გაზაფხულის ტაშით,
თაფლს გაგირევ ახალს მაფშალიას ხმაში.
ჩემო იაგუნდო, შე სამოთხის თვალო,
მწყემსად დაგიდგები, ჩემო დედოფალო.

### სამასი არაგველი

კრწანისის ველი... ცა აჭრილი დაისის ვარდით,
ღვთისმშობლის ცრემლით განბანილი მამულის ხატი,
მტკვარს მიაქვს მთვარე, ვით წარსულის ძველი ეტრატი,
მტკვარს გადაჰყურებს მეციხოვნის მწუხარე ლანდი.

მდინარის პირით სისხლისფერი ყაყაჩო ბოლავს,
მწუხრის ლანდებში მთას ხერხემალს უკორტნის ძერა, —
მზირი, მსტოვარი, აეშაგი, ვით ბედისწერა,
სადღაც მაჰმადის სჯულზე ისევ გაჰკივის მოლა.

ღალატის თოკით გათოკილი მოხუცი მეფე,
გვერდით ძაღლივით უფლის ნების ერთგული სეფე,
თვალზე მომდგარი უწმინდესი ობოლი ნამით.

სამასი გული — საქართველოს სამასი სევდა, —
კრწანისის ველზე დარჩენილი ზვარაკად, მძევლად.
ნეტარ არიან, სახიერო, დედაო, ამინ!

### ძველი კოლხური მოტივებიდან

●

I

თეთრი ისლის ქოხი ჰქონდა,
ია — პატონეფი,
ქოხსა შინა ქარი ქროდა,
ია — პატონეფი.

შინდისფერი ცხენი ჰყავდა,
ია — პატონეფი,
შუაღამის ვარსკვლავს ჰგავდა,
ია — პატონეფი.

შვიდი სოფლის თვალი იყო,
ია — პატონეფი,
სულკალმახი ბიჭი იყო,
ია — პატონეფი.

ვარდობისთვეს შემიყვარდა,
ია — პატონეფი,
ღვინობისთვეს გავხდი ავად,
ია — პატონეფი.

ცრემლის ბადე მოვიქსოვე,
ია — პატონეფი,
შიგ დავკიდე ჩემი ხსოვნა,
ია — პატონეფი.

II

ბროლის კოშკი რაღად მინდა,
ია — პატონეფი,
თეთრი ისლის ქოხი მინდა,
ია — პატონეფი.

უფლისწული რაღად მინდა,
ია — პატონეფი,
შვიდი სოფლის თვალი მინდა,
ია — პატონეფი.

ვარდის წყალი რაღად მინდა,
ია — პატონეფი,
სულკალმახი ბიჭი მინდა,
ია —- პატონეფი.

●

I

მკერდით მოგაქვს მთვარის ჯილა,
ვაი, შური, საყვარელი.
ვის უმზადებ ოქროს იღბალს,
ვაი, შური, საყვარელი,
მკერდით მოგაქვს მთვარის ჯილა,
ვაი, შური, საყვარელი.

მოგაქვს ცისკრის შარიშური,
ვაი, შური საყვარელი,
როგორც თეთრი აბრეშუმი,
ვაი, შური, საყვარელი.
მოგაქვს ცისკრის შარიშური,
ვაი, შური, საყვარელი.

ვინ გალეწავს თოვლის ყანას,
ვაი შური, საყვარელი.
ვის უტოვებ გულში დანას,
ვაი, შური, საყვარელი.
ვინ გალეწავს თოვლის ყანას,
ვაი, შური, საყვარელი.

ვის უნახავ თაფლის კვირას,
ვაი, შური, საყვარელი.
ვის აჩუქებ ვნების დილას,
ვაი, შური, საყვარელი.
ვის უნახავ თაფლის კვირას,
ვაი, შური, საყვარელი.

II

ვინ დაგიდგა ოქროს ტახტი,
ვაი, ჩემი ბედის ბრალი,
ვის უნათებ ღამეს ვარდით,
ვაი, ჩემი ბედის ბრალი.
ვინ დაგიდგა ოქროს ტახტი,
ვაი, ჩემი ბედის ბრალი.

ვინ გიკოცნის ცისფერ ლოყას,
ვაი, ჩემი ბედის ბრალი.
წინ დავიდგი ცრემლის კოკა,
ვაი, ჩემი ბედის ბრალი.
ვინ გიკოცნის ცისფერ ლოყას,
ვაი, ჩემი ბედის ბრალი.

# რუსული მუსიკის
# ფესტივალი
## საქართველოში

თბილისში ერთი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა რუსული მუსიკის ფესტივალი. ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად თბილისს ეწვივნენ გამოჩენილი რუსი მუსიკოსები და ფილარმონიის სოლისტები.

კონცერტებზე გამოვიდა მოსკოვის სახელმწიფო ფილარმონიის ორკესტრი, საგუნდო კაპელა, მოსკოვის ბიჭუნების გუნდი, გლინკას სახელობის სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტი და მოსკოვის კამერული მუსიკალური თეატრი.

მოსკოველმა და ლენინგრადელმა მუსიკოსებმა თბილისელ მაყურებელს უჩვენეს კლასიკური და თანამედროვე მუსიკალური ხელოვნება. კონცერტებზე ჟღერდა ჩაიკოვსკის, გლინკას, ბოროდინის, შოსტაკოვიჩის, ხრენიკოვისა და სხვათა უკვდავი ნაწარმოებები.

თბილისის გარდა კონცერტები გაიმართა სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში, რუსთავში, ახალციხესა და ბორჯომში. ფესტივალის მონაწილე რუსი მუსიკალური ხელოვნების მოღვაწენი და რაიონის მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთ შემოქმედებით მიღწევებს, იმართებოდა მეგობრობის კონცერტები.




ელექტრონული ბიბლიოთეკა







ეროვნული ბიბლიოთეკა

არსენ ჩარკვიანის ფოტო.

⊙ მშენებლობის ხედი.

⊙ პირველი აგრეგატის მონტაჟი.

⊙ მოწინავე მშენებლები (მარცხნიდან) ლეონიდ პურტოვი და ნუგზარ ჩაფიძე.

⊙ აგრეგატი მზად არის.

⊙ მშენებლობაზე.

# ვარციხჰესზე

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა თავდადებული შრომით დასძლიეს მეათე ხუთწლედის პირველი წლის მიჯნები და სასახელო წარმატებები მოიპოვეს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

მოპოვებულ წარმატებებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ვარციხის ელექტროსადგურების უნიკალური კომპლექსის პირველი რიგის მშენებლობას.

ეს მშენებლობა დამკვრელურ ობიექტებად გამოცხადდა და ელექტროსადგურის მშენებლები ხუთწლედის პირველ წელს გაორკეცებული ენერგიითა და თავდადებით ექიდებოდნენ საქმეს.

შესრულდა უამრავი მიწის სამუშაო, ჩაიწყო ათასობით კუბური მეტრი ბეტონი, დაიგო ჰიდროტექნიკური საყრდენი, ელექტროსადგურში დადგეს და დაამონტაჟეს სხვადასხვა რთული ტექნიკური მოწყობილობა.

მშენებლების თავდადებული შრომით ჩვენს რესპუბლიკას ემატება კიდევ ერთი ახალი და სრულყოფილი ელექტროსადგური, რომლის სიმძლავრე 44 ათასი კილოვატსაათი იქნება.

ქუთაისიდან თხუთმეტიოდე კილომეტრის დაშორებით, სოფელ ვარციხის მიდამოებში, ხუთწლედის ბოლოსათვის მწყობრში უნდა ჩადგეს კიდევ სამი ასეთი მძლავრი ელექტროსადგური.

ყველაფერი ახლა მშენებლებზე და მათი დამხმარე ორგანიზაციების მოქნილ მუშაობაზეა დამოკიდებული.

რესპუბლიკაში შექმნილი მორალურ-პოლიტიკური ატმოსფერო, რომელიც უდრეკი რწმენითა და ახალი ძალით ავსებენ მშრომელებს, იმის საწინდარია, რომ ვარციხის ელექტროსადგურების მთლიანი კომპლექსი დროულად და მაღალხარისხოვნად ჩადგება მწყობრში.



# ორი მოთხრობა

## სცენაზე და ცხოვრებაში

ავთანდილ გალდავაძე

მხატვარი ჯ. ლოლუა



მზე გაშლილი მკლავის სიმაღლეზე ჩამომდგარიყო.

სასტუმროში მომსვლელ-წამსვლელთაგან ერთმა წყვილმა კიბის საფეხურები ტაატით ჩამოთვალა. კაცს ქალის იდაყვი ეპირა ხელში, მხარმარჯვნივ მიჰყვებოდა და ნაბიჯის ყოველ მონაცვლეობაზე მისკენ იხრებოდა — ვერ მიხვდებოდით, კავალერს მარჯვენა ფეხი მღალატობდა, თუ ჩურჩულის სადერდელი აშლოდა. კაცის ხუჭუჭ თმას თითქოს ვერცხლის წყალი გადაასხესო — ჭაღარა შეხჭიდებოდა. ქალს კუპრივით შავი შინიონი და ხიფრიფანა შარფი, ვინ იცის, შეიძლება დანაოჭებულ ყელ-კისერს უფარავდა.

ტანზე პეწენიკად ეცვათ მოხდენილად მორგებული და ძვირფასი ტანსაცმელი.

— ამ ბოლო დროს გულზიდვა, უძილობა და თავბრუხვევა დამჩემდა, პირიც მწარე მაქვს, — თქვა კაცმა და მკერდზე ორდენებისა და მედლების ლენტი გაისწორა.

დიდი ვაი-უშველებელი არაფერია... წამალი დალიე, შავ პურსა და ბოსტნეულს მეტი პატივი ეცი დილით, უზმოზე ცივი წყალიც არ დაგწყავს პირს, — დაარიგა ქალმა.

— კაცური კაცები დილით არაყს მიირთმევენ.

— კაცური კაცები კი! — ქალი აშკარად უგუნებოდ იყო და დაგესლა მამაკაცი.

კაცმა ხელი გამოაცალა და განზე გადგა.

დაშორებით მიდიოდნენ. კაცი ოდნავ კოჭლობდა, ფეხსაცმელებმა თითქოს პირი პირს მისცესო, ჭრაჭაჭრუში გააბეს.

ბენზინის სავაჭრო წერტს, რომ გაუსწორდნენ, ხალხის ხორხოცმა მიიპყრო მათი ყურადღება: ლიმუზინებისა და ექსპრესების დაგრეხილ რიგში მაზიდში შებმული სახედარი გარეოდა.

დროულ, სათვალიან მემაზიდეს ყავარჯნები ცარიელ კანისტრებზე მიეყარა, ჰალებზე გარდიგარდმო გაბმულ თოკზე ფარაჯა გადაეფინა, ზედ დამჯდარიყო, ცალ ფეხზე მეორე, მუხლის ქვევით წაკვეთილი ფეხი გადაედო და მონუსხული მისჩერებოდა გერმანელ ტურისტებს.

ვირი ბენზინის რიგშიო?! — ქერა ახალგაზრდებმა ფოტოაპარატები მოიმარჯვეს და ჩხაკაჩხუკი აუტეხეს.

— ეს ოხრები, რა ტალიკ-ტალიკი ბიჭებია, რომელი ქრისტიანი გაიმეტებს ამათ თოფდასაკრავად? რატომ ვხოცავდით ერთმანეთს მე და მამამაგათები, ჰა?! ვითომ რაო, ეს ჩემი ფეხი უკან რომ გაიჩარეს, რა შემმატეს „დიდ გერმანიას"? ვე, ასე ფოტომეებით მობრძანებულიყავით, თქვე დალოცვილებო, ბათქაბუთქით რომ შემოგვესიეთ, რა წაიღეთ, ჰა?!. აცე, მე სამგლე, რა ცოდვა-ბრალი დაგატყდა, ვერა ხედავ, რიგი სანამდე წაბარბაცდა? — შეფუცხუნდა შეყოვნებული ნაჯარისკაცალი და ფიქრებს ჯოხი მოუქნია.

—ეს, რა აქეთ-იქით გამირბის თვალი დედაჩემის პატრონს? — ნირი ეცვალა ქალს და ცხვირსახოცი ამოიღო.

„აი, უგუნებობის მიზეზი" — გაიფიქრა კაცმა და ჰკითხა:

— რა მოხდა?

— დავრდომილი დედა დავტოვე. ისე იყო გაყვითლებული და გაცრეცილი, თვალების დახუჭვა და სულის ამოხდომა აკლდა.

— რა დაემართა?

—ომისდროინდელმა ჭრილობებმა შეახსენეს თავი, ხანმაც ხელი დარია, მედიცინა ვერაფერში შეეხიდა.

— მერედა, რატომ არ დარჩი შინ? — ჰკითხა და ხელკავი გაუკეთა.

— დედამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა: ისიც მეყოფა, რაც ვიტანჯე და ვივაიშვიშე; შენს გარდა, ყველაფერი ომმა წამგლიჯა — ქმარი და შვილი, სახლი და კარი, კუთხე და მეზობელი, ახალგაზრდობა და ჯანმრთელობა... ახლა შენც სახთუმალთან დამიჯდე და ცრემლი მიღვარო?! ჩემი მოდგმა განა მხოლოდ სატირლად და საგოდებლად გაჩენილა ქვეყანაზე? ნურც დავინახო ეს ოხრად დასარჩენი ცრემლი შენს თვალზე, ჩემო ერთადერთო! — დაამთავრა ქალმა დედის ნაამბობი, ცხვირსახოცი მოიმარჯვა და თავი იბრუნა.

ამასობაში თეატრს მიადგნენ.

ვესტიბიულიდან გამოსული ადმინისტრატორი მაჯაზე რომ გაფაციცებით იცქირებოდა, ორივეს მოწიწებით მიესალმა და გაბდღვრიალებულ შენობაში შეუძღვა.

ჭაღები რიგრიგობით ჩაქრა, ფარდა აკალთავდა. სცენა გაჩახჩახდა, დარბაზში სიჩუმე დასადგურდა.

კონფერანსიემ გუდას თავი მოხსნა და ამოალაგა და ამოალაგა: სახალხო და დამსახურებული, ლაურეატი და პრიზიორი, ვოკალური და კამერული, ბოშური სიმღერები, რუსული და ქართული რომანსები...,

ქალს შავი დეკოლტე უზნიავდა, უპეებში წყალი გუბესავით ჩადგომოდა.

კაცი შავ ფრაკში გამოწყობილიყო, შავი პეპელა-ჰალსტუხი გაეკეთებინა და სიარულისას მარცხენა მხარს ითრევდა:

ფრაკოსანი როიალს მიუჯდა, ნოტები მოიმარჯვა და კლავიშებს კაკუტივით თითები დაუშინა.

ქალმა მხრები შეათამაშა ყელი მოიღერა და თავანკარა, ნარნარი ჰანგები მარაოსებრ გაიშალა სცენაზე.

როცა მომღერალმა თავი დახარა, ხალხი ფეხზე წამოიჭრა და აზავთებულმა ტაშმა იგრიალა.

... და იდგა ისევ მუსიკის ზარ-ზეიმი და დღესასწაული. სულს ალაღებდა სიმღერები გამარჯვებაზე, უსახელო ჯარისკაცის საფლავზე, მშვიდობიან შრომაზე, სიცოცხლეზე, სიყვარულზე, სილამაზეზე...

სცენა, პარტერი და იარუსები ერთ სიმზე გაჭიმულიყო.

ბოლოს ფარდამ კალთები ჩამოუშვა და ერთი მთელი ორ ნაწილად გაყო.

ხალხი გარეთ გამოეფინა.

— აუცილებლად წავალ და უსახელო ჯარისკაცის საფლავს დავიტირებ, ეგებ ჩემი იმედი იქ იყოს დამარხული, — ცრემლის ღვრით ამბობდა ხანდაზმული ქალი.

რამდენიმე ვაჟკაცმა რესტორანში შეუხვია. გამარჯვების სადღეგრძელო დალიეს, დაღუპული თანამებრძოლები მოიგონეს და ჭიქა წაუქციეს...

„ხვალ, უთენია მივირბენ სალაროში... რამდენი ხანია კაპიკი არ გამიგზავნია ნაომარი მამისათვის, ალბათ ფოსტალიონს ყოველდღე ყარაულობს", — ფიქრობდა თეატრიდან მომავალი მაღალი ახალგაზრდა.

არ თავდებოდა ქალაქის ქუჩებში კონცერტით დამუხტულ მაყურებელთა სჯა-ბაასი, წარსულის ჭიქვა და ჰვრეტა მომავლისა.

ვის მოუვიდოდა აზრად, რომ ამ დროს კონცერტმეისტერი აფთიაქში წამალს დაეძებდა, ხოლო მომღერალი ქალი სასტუმროს ნომერში შევიდა, მაგიდაზე დეპეშა დალანდა, მუხლებში მოიცელა და მწარედ აქვითინდა...

9 მაისის დღე იწურებოდა.

## იანეთის დედა

ილია რურუა.

ვაგონის გამყოლმა კუპის კარებზე გახაღებით დააკაკუნა და როყიო ხმით დაიძახა:

— შემდეგი სადგური იანეთი... მოემზადეთ!

ალიონის მკრთალ შუქზე გარკვევით დავინახე საწოლიდან ჩამოცურებული შავწინდიანი ფეხები, რომლებმაც მაშინვე იპოვეს მხუბუქი ფეხსაცმელი. წუთის შემდეგ კუპეში ადიმართა კაფანდარა მოხუცი ქალი. ალბათ ტანგაუხდელად იყო მიწოლილი.

ჩვენი მზერა ერთმანეთს შეხვდა. ქალი თითქოს შეცბა:

— ბოდიში მომიხდია, შვილო, — წარმოთქვა მან წყნარი ხმით. — მთელი ღამე ძილი გაგიტეხეთ.

— „მთელი ღამე!"

გამიკვირდა, საიდან იცოდა ეს. მეგონა სულგატვრენილი ვიწექი. ეგ იყო, გვერდს ვიცვლიდი ხშირად.

— საბოდიშო არაფერია, ქალბატონო! — მივუგე გულწრფელად, თუმცა თეთრად გათენებულ ღამესთან, ალბათ, მასაც ჰქონდა რაღაც კავშირი. მოხუცი დედის ხნის ქალი იყო და მორიდებამ, თავიდანვე, რაღაცნაირად შემბოჭა. ვიდრე გასაცილებლად გამოსული შვილი, რძალი და შვილიშვილი თბილისის სადგურზე ხვევნა-კოცნით ეთხოვებოდნენ, ჩემს საწოლზე ავხტი, რომ ქალი შემდეგ აღარ შემეწუხებინა. მცხეთაში შესვლამდე თვითონაც დაწვა და ქალიშვილიც, რომელიც რიონის სადგურამდე მიემგზავრებოდა.

ჩემდა გასაოცრად შევატყვე, ძილი მიკრთებოდა. ამის მიზეზი თითქოსდა უმნიშვნელო, მაგრამ შეუწყვეტელი ხმა აღმოჩნდა. ჯერ ვიფიქრე, საწოლს რაღაც ჰანჭიკი მოშვებია და იმისგან არისმეთქი. რამდენჯერმე შევინჯღერი კიდეც საგანგებოდ, მაგრამ არა და არა. ეს უცნაური, გაუგებარი ხმა არ ცხრებოდა. ისიც ვიფიქრე, ახლად გამოჩეკილი წიწილების ჭუჭუნს ჰგავს-მეთქი ეს ხმა, მაგრამ ამაზე მხოლოდ გამეღიმა. ასე თუ ისე, აღარ დამეძინა. რამდენჯერმე ჩავყვინთე მხოლოდ, მაგრამ რულიდან გამოსულს ის ხმა უფრო და უფრო მიწიწკნიდა ნერვებს...

და აი, უკვე შემოგვათენდა, იანეთში შევდივართ. არც ჩემი სადგურია შორს.

ამასობაში ქალმა აკეცა საბან-ლეიბი, გვერდითა საწოლზე დახდო, შემდეგ თავისი საწოლის სახურავი ასწია და რაღაც-რაღაცეების ამოლაგებას შეუდგა.

— დედი, ახლავე ავდგები! — შევეხმიანე ისევ.

— არა, შვილო, ნუ შეწუხდებით... ბევრი არაფერია. პატარა ჩემოდანი მაქვს ერთი, ბადურა და გალია.

ყური ვცქვიტე — „ეს გალია რაღაა!"

თვალი ჩავაპარე ქვემოთ და გავვოცდი. პატარა მაგიდის ქვემოთ კოხტა, შეღებილი მავთულის გალია იდგა, რომელშიც ახლად გამოჩეკილი ყვითელი წიწილები ფუთფუთებდნენ.

„აი, თურმე, რა!"

— დედი, — სიცილით ვუთხარი ქალს, — სოფელში წიწილები ქალაქიდან მიგყავთ?

— მაგ წიწილების ამბავი რომ მოგიყვეთ, არ დამიჯერებთ, — მწუხრად გაიღიმა ქალმა და საქმემოთავებულმა ხელის გულები რიგრიგობით ჩამოისვა ჯერ ერთ, შემდეგ მეორე მკლავზე თითქოს სახელოებიდან რაღაც მოიცილაო. თავიდან, ბოლომდე ჩავათვალიერე. ეცვა ისე, როგორც იცვამს ყველა დროული, რაღაც მწუხარებაგამოვლილი ქართველი ქალი: თითქმის უნიფორმად ქცეული სადა შავი კაბა, რომელსაც მხოლოდ ისინი ატარებენ გასაოცარი მომხიბვლელობით, ასე ელეგანტურად.

— ბრძანეთ, — დავინტერესდი მეც.

— ეს ზამთარი შვილთან გავატარე, — დაიწყო ქალმა და რაღაც შინაგანი სითბოთი სავსე მზერა მორიდებულად მომაპყრო. — რაც მართალი მართალია, არ ვემდური. რძალიც ღვთისნიერი შემხვდა. ყველა ჩემს კეთილს შიაცა ისეთი. ყურადღებას არ მაკლებენ. მაგრამ ქალაქში გული არ მიდგება. ამ ზამთარს ძლივსძლივობით გამოვიტყუეს... აბა რა ცხოვრებაა, სადღაც ცაში ხარ გამოკიდებული. მიწაზე ფეხის დადგმა მენატრება. ერთი სული მქონდა გაზაფხულამდე და ამასაც მოვესწარი. სულ ჩემი ეზო-კარის დარდი მქონდა. ყველაფერი თავიდან უნდა გამოვაცოცხლო. მპირდებიან, ზაფხულს აუცილებლად ჩამოვალთო.

— წიწილებზე ბრძანებდით, — შევახსენე.

— ჰო, — ქალმა კიდევ გაიღიმა თავისი სათნო ღიმილით. — არ ვიცი, როგორ მომივიდა თავში. ერთხელ იმასთან ვიჯექი, რა ქვია იმას, ქალაქში ოთახებს რომ ათბობს წყლით.

— რადიატორი!

— დიახ, მგონი ასე ქვია... ისეთი კარგი სითბო აქვს თანაბარი, როგორც საბუდარზე დამჯდარ კრუხს... ერთი ვცდი-მეთქი და ახლად ნაყიდი კვერცხები სინათლეზე გავლანდე, შემდეგ ქეთინოს თოჯინის ყუთში ჩავაწყვე რბილად და მივუდგი... როცა გათბობას გამორთავდნენ, ფანელის კაბაში ვახვევდი... სასაცილოდ ამიგდეს ჩვენებმა, მაგრამ წარმოიდგინეთ თქვენ, ერთის მეტი ყველა გამოიჩეკა... კვერცხები სულ ისეთი ვერ იყო, ჩვენში რომ იცის, ვარდისფერი და მაგარნაჭუჭიანი... ცოტა უჭიშოა, მაგრამ სულ არარაობას მაინც ჯობია. ეზო-კარი ქათმისა და წიწილების გარეშე რა ბედენაა.

თქვენ წარმოიდგინეთ, არ გამცინებია ვერც ვერაფერი სიტყვა ვიპოვე სათქმელი, ყოველივე ამის მოსმენის შემდეგ.

ელმავალმა შეიკივლა და სხვა რელსებზე გადაყვანილი ვაგონის ბორბლები მძიმედ ახმაურდნენ. ფანჯარაში ტანმაღალი ხეები გამოჩნდა. ქალი მოუსვენრად აწრიალდა.

— ამ წუთში, დეიდა, — წამოვიძახე მე და ფეხები ჯინსის ტოტებში ჩავტენე სწრაფად.

— რაზე წუხდებით, შვილო, — აშკარად ზრდილობისათვის წარმოსთქვა ქალმა.

ადგომა ისედაც მინდოდა. ბავშვობიდანვე მიყვარს იანეთის სადგური. კვლავაც სახეშეუცვლელად იდგა ძველი, კეთილნაშენი პატარა სადგური, ახლად შეკვირტული ხეების ტევრში ჩაფლული. ადრე მათ ძირში ყოველთვის ბალახი ბიბინებდა. უნებურად თვალებით იებიც მიძებნია. მაგრამ ახლა ბალახი თითქმის ამოგდებული ჩანდა, შიშველი მიწა მანქანების კვალით იყო დასერილი.

ხალებავვგადაქერცლილი, დანჯღრეულ „ვოლგამდე" მივაცილე. მადლობა გადამიხადა. თავისი სახელი და გვარიც მითხრა. თუ ოდესმე აქეთ მოხვდეთ, დედა-შვილობას შემოიარე, გამახარე. ჩვენს სახლს ყველა მოგასწავლისო...



მხატვარი ჯემალ ლოლუა.

მატარებელი აბაშის სადგურში შედის. მე ისევ ვფიქრობ თმაგათეთრებულ ქართველ ქალზე, რომელიც საცაა შეაღებს თავისი ჭიშკრის ჩაფანგებულ, ხავსმოდებულ კარებს და კოინდარიან ეზოში შეიტანს კოხტა გალიას, რომ იქიდან გამოუშვას ფუმფულა ოქროს წიწილები...

ფანჯრებს იქით ელავს ნაცნობი, მშობლიური სანახები და გულში შემოდის სხვა დარდი, ნაღი, უსაშველოდ დიდი და მოუშუშებელი... სადაცაა ჩამოვალ ნაცნობ სადგურზე, მაგრამ აქაურ მიწაზე ფეხის დადგმა არ იქნება ძველებურად მოლოდინით სავსე. მე აქ მოულოდნელად თვალს ვერ მოვკრავ რაღაც საყიდლებზე დაბაში ჩამოსული დედის დაღლილ, გამხდარ სახეს, ვერ გავიგონებ მის ნაღველნარევ, ალერსიან ხმას:

— ჩამოხვედი, შვილო!

ეროვნული ბიბლიოთეკა



უცხოური ნოველის ბიბლიოთეკა

ანდრე მორუა

# ტყვეს დაბრუნება

მხატვარი თენგიზ სამსონაძე.

ეს ნამდვილი ამბავი, რომელიც 1945 წელს საფრანგეთის სოფელ შარდეიში მოხდა, მატარებელში დაიწყო. მატარებელს გერმანიიდან ფრანგი ტყვეები სამშობლოში მიჰყავდა. ათ ადგილიან ვიწრო კუპეში თორმეტი ტყვე იჯდა. დაღლილი და მოთენთილი ტყვეები ფიქრებში ჩაძირულიყვნენ. ისინი თავს ბედნიერად თვლიდნენ, ვინაიდან ხუთი წლის უნახავ სამშობლოსა და ოჯახებს უბრუნდებოდნენ. ყოველ მათგანს თავში თითქმის ერთი აზრი უტრიალებდა — ყველანი შინ დარჩენილ ცოლებზე ფიქრობდნენ, ზოგი თუ სიყვარულით, ზოგი აღელვებით და დაეჭვებით. ისეთივე ერთგულები დახვდებიან? ხუთი წლის განმავლობაში რას საქმიანობდნენ? ვისაც შვილები დარჩათ, ისინი, რა თქმა უნდა, შვილებზე ზრუნვით იქნებოდნენ დატვირთულნი და ქმრების დაბრუნება მათ დიდ სიხარულს მოუტანდა.

კუპეს ერთ კუთხეში გამხდარი კაცი იჯდა. თვალები სიცხისაგან ანთებოდა. ვნებიანი სახით უფრო ესპანელს წააგავდა. ეს იყო რენო ლემარი სოფელ შარდეის მკვიდრი.

— ცოლი გყავს, სატურნე?

— რა თქმა უნდა, ომის დაწყებამდე ორი წლით ადრე შევირთე. ორი შვილიც მყავს. ცოლს მართა ქვია გინდა სურათი გაჩვენო? — სატურნეს შრამებიანი სახე გაუბრწყინდა და გულისჯიბიდან პატარა გაცვეთილი საფულე ამოიღო, რომელშიც ცოლის თითქმის დაფლეთილი სურათი შეინახა.

— მშვენიერი ქალია, — უთხრა ლეიმარმა, — არ გაღელვებს შინ დაბრუნება?

— მაღელვებს? სიხარულისაგან ლამის გავგიჟდე, რატომ უნდა მაღელვებდეს?

— ლამაზი ცოლი გყოლია, ხუთი წელი მარტო იყო კაცები კი ბევრნი არიან!

— ნუ მაცინებ, გეთაყვა! მართასთვის სხვა კაცი არ არსებობდა, მუდამ ბედნიერი ვიყავით!.. რომ იცოდე, როგორ წერილებს მწერდა?!.

— წერილებს რა მნიშვნელობა აქვს! მეც ვიღებდი კარგ წერილებს, მაგრამ მაინც ვეჭვიანობ.

— არა ხარ დარწმუნებული შენს ცოლში?!

— როგორ არა, სხვებზე მეტად. ექვს წელზე მეტია, რაც შევუღლდით და ჩრდილი არასოდეს ჩამოგვწოლია.

— მაშ, რა გაწუხებს?

— ეს ბუნების საკითხია, ჩემო კარგო. ბედნიერებისა არა მჯერა!.. ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ელენე მე მჯობდა. მეტად ლამაზი და ზრდილი ქალია. ქალი. რომელმაც ყველაფრის გაკეთება იცის... ოჯახი მშვენივრად მოაწყო... ჰოდა, ათასი აზრი მებადება... ჩვენში ომიდან გამოქცეულები ბევრი არიან. მათ შორის ბევრი, ალბათ, გარეგნობით მე მჯობს... შეიძლება უცხოელებიც... ჰოდა, სოფელში ყველაზე ლამაზმა ქალმა შესაძლოა, მათი ყურადღება მიიპყრო!

— თუ შენ უყვარხარ?!

— მართალია, მაგრამ წარმოიდგინე მარტოობა... შარდეი მისი სოფელი არ არის, ჩემი სოფელია. მას იქ არავინ არა ჰყავს, ამიტომ შეცდენა ადვილია!

— ნუ მაცინებ, ძმობილო. ნამდვილად აურიე! კარგი. დავუშვათ იყო რაღაც, მერე რა მოხდა? მან თუ დაივიწყა? მაგალითად, მე რომ მართაზე რაიმე მითხრან, ასე ვუპასუხებ... აღარც ერთი სიტყვა... იგი ჩემი ცოლია. ომი იყო... მარტოდმარტო დარჩა... ახლა მშვიდობაა და ახალ ცხოვრებას დავიწყებთ...

— არა ძმაო, მე მასე არ მოვიქცევი, — თქვა ლეიმარმა, — რაიმე მსგავსი რომ გავიგო...

— რას იზამ, მოკლავ? ჭკუიდან შეიშალე?!

— არა, არაფერსაც არ ვიზამ, არც წამოვაყვედრებ... გავეცლები და უგზო-უკვლოდ გადავიკარგები... ფულსაც დავუტოვებ, სახლ-კარსაც, არაფერი არა მჭირდება, ხელობა მაქვს, ვიმუშავებ... ახალ ცხოვრებას დავიწყებ... აი, ასე მოვიქცევი!

მატარებელმა დაიკივლა — სადგურში შედიოდა. ტყვეებმა საუბარი შეწყვიტეს.

* * *

შარდეის მერი სოფლის სკოლაში ასწავლიდა. იგი მეტად მამაცი, მზრუნველი და ერთგული კაცი იყო. ერთ დილას სამინისტროში შეიტყო, რომ ლეიმარი ოც აგვისტოს ტყვეობიდან შარდეიში ბრუნდებოდა. გახარებულმა გადაწყვიტა. ეს ამბავი ლეიმარის ცოლისთვის შეეტყობინებინა.

ელენ ბაღში მუშაობდა — მსგავსი სილამაზის ბაღი შარდეიში არავის ჰქონდა.

— ქალბატონო ლეიმარ, ვიცი, თქვენ არ ეკუთვნით ისეთ ცოლებს, რომელთა საქციელი ომიდან დაბრუნებული ქმრების წინაშე უნდა შეალამაზო, რათა რაიმე უბედურება არ მოხდეს... თუ თქვენ ნებას მომცემთ, რენოს ვეტყვი, რომ თქვენი საქციელი და მოქმედება მთელი სოფლისთვის სასიქადულო და სამაგალითო იყო. ჭორიკნებიც კი კარგის მეტს ვერაფერს იტყვიან.

— სათქმელს მოიგონებენ, ბატონო მერო!

— გეთანხმებით, მაგრამ თქვენ ამის არავითარ საბაბს არ იძლეოდით! თქვენი სიხარული მახარებს... ეჭვი არ მეპარება, რომ რენოს კარგად შეხვდებით!

— დიახ, ბატონო მერო, მე მას ღირსეულად შევხვდები! ოც აგვისტოს არა? ხომ არ იცით, რომელ საათზე!

— მინისტრმა მითხრა, ნელი მატარებელი პარიზიდან ოცდასამ საათზე გამოდის რენო სადგურ ტივიერში ჩამოვა. ტივიერიდან ოთხი კილომეტრი ფეხით არის სასიარულო... დღის თორმეტი საათისათვის აქ უნდა იყოს!

-- მე მას კარგ საუზმეს დავახვედრებ, ბატონო მერო!

— შარდეილებს ყველას უყვარხართ ქალბატონო ლეიმარ; მართალია, აქაური არა ხართ, მაგრამ მთელი სოფელი შარდეის მკვიდრად გთვლით!

ოც აგვისტოს ელენ ლეიმარი დილის ექვს საათზე ადგა. წინა დღეს ბინა დაალაგა, ქვაფენილი გარეცხა. იატაკი გააპრიალა, ფარდები გამოცვალა. თავი წესრიგში მოიყვანა; უნდოდა, დიდი ხნის უნახავ ქმარს ლამაზად დახვედროდა. თავისი შეკერილი შავი კაბა ამოირჩია ფერადი ქამრით. საუზმისათვის ყველაფერი ის მოამზადა, რაც რენოს უყვარდა, მაგრამ ომის შემდეგ საფრანგეთში ბევრი რამ არ იშოვებოდა... საუზმის შემდეგ შოკოლადი? რენოს ხომ შოკოლადი უყვარს? სად იშოვოს?! საბედნიეროდ, ელენს რამდენიმე ახალი კვერცხი ჰქონდა. რენო ამბობდა, რომ ელენ ერბო-კვერცხს ძალიან გემრიელად ამზადებს. რენოს ხორცი უყვარს, შემწვარი კარტოფილით, მაგრამ ორი დღეა, რაც მეხორცემ ფარდული დაკეტა. არა უშავს, წინა დღით ელენმა ქათამი დაკლა. გარდა ამისა, მეზობელმა უთხრა, მეორე ქალაქის ერთ მაღაზიაში შოკოლადს ჩუმად ჰყიდიანო. ელენმა წასვლა გადაწყვიტა: „ახლა რვა საათია, ცხრაზე შინ ვიქნები... წასვლამდე ყველაფერს მოვამზადებ. დაბრუნებისას სამზარეულოს გარდა სხვა საქმე აღარ მექნება“.

ყოველთვის გულჩათხრობილი ელენ უსაზღვროდ გამხიარულდა. ამინდიც ხელს უწყობდა. დილით მზე ასე გაბრწყინებული არასოდეს არ ყოფილა. ელენმა სიმღერით დაიწყო სუფრის გაშლა. „წითელი და თეთრი ზოლებიანი სუფრა... პირველი შეძენილია. ვარდისფერი თეფშები ლამაზად მოხატული ვარდებით... მას ხომ ნახატები სიამოვნებდა. ერთი ბოთლი ღვინო... რაც მთავარია, ყვავილები... რენოს ყვავილებიც ძალიან უყვარს“, ელენმა სამფეროვანი ყვავილების თაიგული ლარნაკში ჩადგა. სახლიდან გავიდა და სანამ მეზობელ ქალაქში შოკოლადისათვის გზას დადაგებოდა, ველოსიპედს დაეყრდნო და გაღებული ფანჯრიდან ოთახში შეიხედა. ყველაფერი ლამაზად გამოიყურებოდა. ამდენი ტანჯვის შემდეგ თავის სახლისა და ცოლის უცვლელად დახვედრით რენო კმაყოფილი დარჩება. ღია ფანჯრიდან ელენ თავის თავს სარკეში ხედავდა. ცოტა გამხდარა, მაგრამ ისეთიევ თეთრი და ახალგაზრდაა, ისევე შეყვარებული ელენ თავს ბედნიერად გრძნობდა. უცებ შოკოლადი გაახსენდა.

— წავიდე. რომელი საათია? უკვე ცხრაა, ბევრი დრო გასულა! არა უშავს, მერმა ხომ თქვა, თორმეტისათვის ჩამოვაო, მოვასწრებ, — ჩაილაპარაკა ელენმა.

* * *

ლეიმარის პატარა სახლი სოფლის ბოლოში განცალკევებით იდგა. სწორედ ამიტომ ვერავინ ვერ შენიშნა გამხდარი ჯარისკაცი, რომელიც გაბრწყინებული თვალებით შევიდა ბაღში, ბაღის სილამაზით და ყვავილების სურნელებით დამტკბარმა რენომ თვალები მილულა, შემდეგ ჩუმად დაიძახა:

— ელენ!

ხმა არავინ გასცა. რამდენჯერმე დაიძახა:

— ელენ! ელენ!

სიჩუმისაგან შეშფოთებული რენო ფანჯარას მივარდა და... ოთახში ორ ადამიანზე გაშლილი სუფრა დაინახა. მაგიდაზე ყვავილები, ღვინო... თითქოს გულში დანა გაურჭესო, ძლივს მოასწრო კედელზე მიყრდნობა.

— ღმერთო ჩემო! — ჩაილაპარაკა რენომ, —მარტო არა ცხოვრობს!

ერთი საათის შემდეგ, როდესაც ელენ დაბრუნდა. მეზობელმა აღელვებულმა უთხრა:

— რენო დავინახე, კი, ნამდვილად ის იყო, გზაზე მირბოდა, დავუძახე, მოიხედა!

— მირბოდა? რომელ მხარეს?

— ტივიერისკენ!

ელენ მერთან გაიქცა. მერმა არაფერი იცოდა.

— მეშინია, ბატონო მერო, მეშინია, რენო ხომ მეტისმეტად ეჭვიანია, ამავე დროს მგრძნობიარე, ალბათ, ორი ადამიანისთვის გაშლილი სუფრა რომ დაინახა... იმას კი ვერ მიხვდა, რომ ერთი მისთვის იყო... მე მას ველოდებოდი... უნდა მოძებნოთ, ბატონო მერო, ახლავე, თორემ შეიძლება აღარ დაბრუნდეს... რენო ძალიან მიყვარს!..

ტივიერის სადგურზე მერმა ველოსიპედისტი აფრინა, ჟანდარმერიაც ფეხზე დააყენა, მაგრამ რენო ლეიმარი ვერსად ვერ იპოვეს. ელენი მთელი ღამე მაგიდასთან იჯდა, ყვავილებს შესცქეროდა, არაფერს ჭამდა...

ამ ტრაგიკული შემთხვევის შემდეგ გავიდა ერთი დღე, ერთი კვირა, ერთი თვე, ორი წელი... ელენს თავის საყვარელ მეუღლეზე აღარაფერი სმენია.

ამას იმ იმედით ვწერ, რომ ეგებ რენო ლეიმარმა წაიკითხოს და ცოლს დაუბრუნდეს

ფრანგულიდან თარგმნა ლატავრა შანშიაშვილმა

## კაკალი გულში

□

— ისეთ დღეში ვარ, გულზე დანა რომ დამკრა, წვეთი სისხლი არ გამომივა.

— რა გჭირს, შე კაცო?

— წუხელ ჩემმა ხუთი წლის გოგონამ ჩემი ახალი პიესა ბუხარში შეაგდო და დაწვა!

— რავა, უკვე იცის კითხვა თუ?!

□

— აუ, რამდენი ვირბინე!...

— მატარებელზე გაგვიანდებოდათ?

— დიახ!

— სამწუხაროდ, წავიდა უკვე.

— რამდენი ხანია?

— ნახევარი საათი იქნება.

— კიდევ კარგი, ნახევარი საათით რომ გამასწრო... შარშან საათნახევრით დავაგვიანე!

□

— გამარჯობა!

— სალამი!

— მითხრეს, გუშინ თათბირზე გამოსულხართ და გითქვამს რომ ჩემი პიესები უვარგისია!

— მართალია, ვთქვი...

— შე კაცო, ჩემმა პიესებმა ორი წელიწადი მაინც იცოცხლეს სცენაზე, შენი პიესა კი მეორე დღესვე მოიხსნა რეპერტუარიდან.

— სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი!

□

— შეიძლება?

— მობრძანდით!..

— მე თქვენი მთავარი ბუღალტერი დიდია გახლავართ!..

— ახალი დირექტორი პატარაია!

— ღმერთო, გმადლობთ შენს მოწყალებას... ხა, ხა, ხა!..

— რა გაცინებთ?!.

— ყველაფერს ვიფიქრებდი, მაგრამ პატარაია თუ დიდიას უფროსი იქნებოდა, არ მეგონა.

□

— კაცო, რატომ არ მიდიხარ იმ კაცის დამარხვაზე?

— ვერა ვარ კარგად!

— ვიცი, რატომაც ვერ ბრძანდები კარგად.

— რატომ?

— ახლა აღარც სმა შეგიძლია და აღარც ჭამა, ქელეხში რაღა გინდა რომ წახვიდე...

— ნამდვილად ასეა...

— სირცხვილია, კაცო, ხალხი რას იტყვის... შენი მეგობარი არ იყო?

— ვისაც რა უნდა, ის თქვას... მე რომ მოვკვდები, არც ის მოვა ჩემს გასვენებაში და ბარიბარს ვიქნებით... მოისვენებ ახლა?

— შენ თუ არ იქნები, მე ხომ ვიქნები?!

— თუ იქნები, ადექი და შენ წადი გასვენებაში!..

□

— მამა!...

— ჰო, რა ამბავია, ხომ მშვიდობაა?..

— რაღა მშვიდობა, რა...

— რა მოხდა?!..

— ახლოს არ მიკარებს შენი სიძე!

— რა მინდაო...

— მამაშენმა „ვოლგა“ მიყიდოსო!

— რაო, რაო?!

— ჰო, ვოლგა მიყიდოსო.

— უყურე შენ!..

— რა ვქნა ახლა?!.

— იმ ვაჟბატონს ბიცოლა ხომ ქვრივი ჰყავს?..

— მერე?

— მამიდა მისიც გასათხოვარია ხომ?

— მერე?

— მისი და ქმარგაყრილია ხომ?

— მერე?

— მერე წადი და ასე გადაეცი იმ ვაჟბატონს: ერთი „ზაპოროჟეცი“ მიყიდოს და ვითხოვ მის დას, მამიდას და ბიცოლამისსაც.

# XXXVI ჩემპიონატი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქტომბერში თბილისში ჭადრაკის იმდენი სპეციალისტი ჩამოვიდა, რომ სასტუმრო „აჭარა“ დიდ საჭადრაკო კლუბს დაემსგავსა. მთელი დღეღამის განმავლობაში არ წყდებოდა ის სპეციფიური ფუსფუსი, დიდ საჭადრაკო შეჯიბრებებს რომ ახასიათებს ხოლმე. ხომ თავისებური ხვედრი აქვს მოჭადრაკეს შეჯიბრებებში მონაწილეობის დროს, როდესაც ძილშიც კი ფიგურები ესიზმრება, მაგრამ იგი, ასეა თუ ისე, მაინც იძინებს (თუმცა ეს ძილი, პაოლო იაშვილისა არ იყოს, პოეტის ძილსა ჰგავს და შფოთვით არის სავსე). ისე კი ტურნირებზე არიან ადამიანები, რომელთაც ძილის ნებაც კი არა აქვთ. ჩვენ მხედველობაში გვყავს ისინი, რომლებიც მოჭადრაკეებს ახლავენ — მათი სეკუნდანტები. როცა მოჭადრაკე ისვენებს, მან კეთილი უნდა ინებოს და გადადებული პარტია გაარჩიოს. ისე, რომ დილით ტურნირის მონაწილეს ამომწურავი ანალიზი წარუდგინოს.

მონაწილეები და მწვრთნელები ტურნირის დროს მართლაც რომ თავაუღებლად შრომობენ. „ხელოვნება მსხვერპლს მოითხოვს“ და ისინიც ყველაფერს აკეთებენ, რათა მკაცრი, მომთხოვნი მაყურებელი კმაყოფილი დარჩეს. ოცდამეთექვსმეტე საკავშირო ჩემპიონატის მონაწილეებმა მართლაც რომ პირნათლად მოიხადეს თავიანთი ვალი — თბილისელი გულშემატკივარი, რომელიც ყოველ საღამოს ჭადრაკის სასახლისაკენ მიიჩქაროდა, კმაყოფილი კი არა, მოხიბლულიც კი დარჩა მოჭადრაკეთა შემოქმედებით.

ჭადრაკის სამყაროში თბილისს მართლაც რომ გამორჩეული ადგილი უჭირავს. დადგება თუ არა რომელიმე საერთაშორისო ტურნირის მოწყობის საკითხი, ყველას პირველ რიგში თბილისი და მისი ჭადრაკის სასახლე ახსენდება. იტყვის რომელიმე ქალაქი უარს საკავშირო ჩემპიონატის მოწყობაზე, ისევ თბილისის საკითხი დგება. ისე, რომ არავის გაკვირვებაა, რომ დესაც ბოლო ოთხი საკავშირო ჩემპიონატიდან სამი სწორედ ჩვენს დედაქალაქში ჩატარდა. ეს რა თქმა უნდა, უკვე ჩინებული ტრადიციაა და ძალიან კარგი იქნება თუ მომავალშიც გაგრძელდება.

ერთი საინტერესო დეტალი: საკავშირო ჩემპიონატის 18 მონაწილიდან. მესამედი — ექვსი თბილისის წარმომადგენელი იყო. ამ იშვიათ და უნდა ითქვას, უცნაური რიცხვობრივი მონაცემის უკან დგას ქართულ საჭადრაკო სკოლის გრანდიოზული (ნუ შეგეშინდებათ ამ სიტყვის) მიღწევები. ამავე დროს, ცხადია, მიღწევებმა თავბრუ არ უნდა დაგვახვიოს და ცალკეულ მარცხსაც ნუ მივაფუჩეჩებთ; ასეთები კი ახლაც იყო და მომავალშიც შეგვხვდება.

ოცდამეთექვსმეტე საკავშირო ჩემპიონატმა მრავალ ახალ მოჭადრაკესთან შეგვახვედრა და ეს ნაცნობობა, უნდა ითქვას, სასიამოვნო იყო. 19 წლის ანა ახშარუმოვა ერთი ხელის დაკვრით საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა. იგი ჩინებულად იყო მომზადებული ამ ძნელი შეჯიბრებისათვის, რაშიც მწვრთნელ რუდოლფ კიმელფელდის გარკვეული დამსახურებაცაა. ანას მამა მოჭადრაკე ჰყავს, არაერთი მრჩეველიც, მაგრამ მაინც, უპირველეს ყოვლისა, ლელო მისმა ნიჭმა გაიტანა. ეს ნიჭი ჩვენ ჯერ კიდევ ადრე შევამჩნიეთ, როდესაც 15 წლის ანა ბათუმში, საქართველოს მოსწავლეთა ღია ჩემპიონატში სათამაშოდ მოვიწვიეთ. გავიდა კიდევ რამდენიმე წელი და შარშან საქართველოს ტრადიციულ ქალთა საერთაშორისო ტურნირში ანამ I-II ადგილები გაიყო მაია ჩიბურდანიძესთან. დიახ, ახშარუმოვას ბედნიერად აქვს დაცდილი საქართველოში თამაში, თუმცა ჩვენ მაინც ხელს არ ვიღებთ სიტყვებზე — „ერთი ხელის დაკვრით“ ჩემპიონად გახდომის შესახებ. საქმე ის გახლავთ, რომ ანა პირველად მონაწილეობდა საკავშირო ჩემპიონატში, აქ თამაშის სპეციფიკა კი სულ სხვა გახლავთ. ახალგაზრდა მოსკოველი არ დაიბნა და მთელი შეჯიბრება გულადად, შემართებით წარმართა.

წიგნის თარო

# საჭირო სიტყვა

ოცდახუთი წლის წინათ „ლიტერატურულ გაზეთში“ ზურაბ ლორთქიფანიძის ლექსების პირველ წიგნზე წერილი დავსტამბე. ახალბედა პოეტს ზოგი რამ ვუსაყვედურე. კრიტიკა მან აუღელვებლად მიიღო. შეიძლება პირველი წიგნის მკაცრი შეფასება გულში არცთუ ისე ესიამოვნა, მაგრამ წყენა არასოდეს გამოუთქვამს. ეს მისი დიდსულოვნებით აიხსნება.

დღეს ზ. ლორთქიფანიძე ერთ-ერთი მოწინავე პოეტია და ვინც ყურადღებით კითხულობს მის ლექსებს, ვფიქრობ, დამეთანხმება, რომ ამ უკანასკნელ ხანებში პოეტის მხატვრული აზროვნების დონე საგრძნობლად ამაღლდა. ამას მოწმობს ბოლოდროინდელი წიგნიც „საჭირო სიტყვა“ (გამომცემლობა „მერანი“, 1976 წ.), რომელიც თანამედროვე ქართული პოეზიის კარგ შენაძენად მიმაჩნია.

პოეტი არაა ის, ვინც მხოლოდ მარჯვედ ათამაშებს სიტყვას. ჭეშმარიტი პოეტი ისაა, ვინც ოსტატურად ხატავს ცხოვრებას, ბუნებას, სიყვარულს, სიძულვილს, სიხარულსა და ტკივილს, ეხმარება მკითხველს ავ-კარგის გარკვევაში, მიზნის სწორად დადგენასა და განხორციელებაში. ზ. ლორთქიფანიძის პოეზია სწორედ ამ მხრივ არის საყურადღებო. აქ განსაკუთრებით გამოვყოფ ორ ლექსს. პირველი ლექსით („ცხოვრების გულში“) ვგებულობთ თუ ვის აქვს მორალური უფლება ჩაიხედოს „ჩვენი მთაბარის გაუმრუდავ და გაუბზარავ სპეტაკ სარკეში“. პოეტი მწვავე ღიმილით ქირდავს ყალბ პატრიოტებს, იმ ადამიანებს „ვინც თამაშობს, კაი კაცის საეჭვო როლებს და ცხოვრების გულში გზის გაგნებას მით იიოლებს“.

სასტიკი სარკაზმით არის გამსჭვალული მეორე ლექსიც („ქარიშხალში მოხვედრილი კაცის პორტრეტი“). მასში მკაფიოდ ჩანს ავტორის ირონიული დამოკიდებულება მათ მიმართ, ვინც შეპყრობილია განდიდების მანიით, ცხოვრობს წვრილმანი, ვიწრო ინტერესებით და ადამიანურ ღირსებას ფულზე ახურდავებს. პოეტი მათ საყურადღებოდ ამბობს:

„რაინდს სიმდიდრე სამარემდე არ გაჰყოლია, მაგრამ ნამუსი მას სიკვდილის მერეც ჰქონია“.

ლიტერატურის მთავარი მიზანია ცხოვრების გაუმჯობესება, ადამიანის სულიერი და ზნეობრივი ამაღლება. სწორედ ამ საპატიო ამოცანის წარმატებით გადაწყვეტას ემსახურება ზ. ლორთქიფანიძის პოეზია, რომელიც ხიბლავს მკითხველს ცნებათა გამოსახვის სისადავით. საერთოდ, პოეტს არ ახასიათებს იაფფასიანი ეფექტისადმი ტრფიალი, ყალბი პათეტიკური ტონი, მის ლექსებში არ იგრძნობა რეკლამისათვის დამახასიათებელი პათოსი.

კაცობრიობას ადამიანებისათვის თავდადების პირველი მაგალითი ამირანმა იგივე პრომეთე) აჩვენა. მან ოლიმპოდან მოიტაცა ცეცხლი და ასწავლა ხალხს მისი გამოყენება, რისთვისაც ზევსმა იგი მკაცრად დასაჯა. მაგრამ უმჯობესია თვით ტიტანს მოვუსმინოთ: „ცეცხლი მოვსტაცე თქვენთვის იმ ღმერთებს, სამაგიეროდ დამსაჯეს კიდეც. დროსა და სივრცეს მარჯვედ გახედეთ, დაიმუხლებდეთ ვიდრე. ცისხელა მთიებში თქვენ თვის ვეწამე, კი არ გამადლით, არ მინდა გავხდე ცუდის მოწმე. არ მინდა ვგავდე მუდამ ჯავრიანს, თქვენს შორის ძმებო, სიკეთე თესეთ!“.. ლექსში („გამოცხადება კლდით ამირანის“), ისე როგორც გავრცელებულ ლეგენდებში, ღმე-

**ძველი პრესის ფურცლებიდან**

## მოხერხებული პატარძალი

ერთ ქალაქში მოძღვართან ორი ახალგაზრდა შეყვარებული მივიდა და სთხოვეს ჯვარი დაეწერა მათთვის. ჯვრისწერისათვის საჭირო საბუთებიც წარუდგინეს, მაგრამ ფული არ ჰქონდათ, მოძღვარი კი უფულოდ ჯვარს არავის წერდა. ბევრი ემუდარნენ და ეხვეწნენ, მაგრამ მოძღვარი ვერ დაიყოლიეს.

— თუ ფული არ გექნებათ, არც ჯვრისწერა მოხდება! — გადაჭრით უთხრა უარი მოძღვარმა.

—ნება მიბოძეთ, ღირსო მამაო, შინ მივირბინო და ფული ვიშოვო, — უთხრა მოძღვარს საპატარძლო ქალმა.

მოძღვარმა ნება დართო.

საპატარძლომ საქმრო საყდარში დატოვა და თვითონ სადღაც გაიქცა. რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ უკან მოირბინა და რამდენიმე მანეთიც მოიტანა. მოძღვარმა იმავე წამს გადაწერა ჯვარი.

ჯვარი რომ დაიწერეს, პატარძალი მოძღვარს მიუბრუნდა და ჰკითხა:

— ღირსო მამაო, ახლა ხომ აღარავის შეუძლია ჩვენი განქორწინება?

— არა, კატერინა, არავის შეუძლია. თქვენ შეუღლებულნი ხართ ღვთისა და ეკლესიის წინაშე!

— არც თქვენ შეგიძლიათ, ღირსო მამაო? — ისევ ჰკითხა ქალმა.

— არც მე, — უპასუხა მოძღვარმა, — მე მაგის უფლება არა მაქვს!

ახშარუმოვას პირველი პრიზი თუ დიდად მოულოდნელი იყო, იგივე ითქმის ესთერ ეპშტეინის მეორე პრიზზეც. გორკელი მოჭადრაკე მართლაც რომ იშვიათი შეუპოვრობით იბრძოდა. ჩემპიონატის დაწყებამდე მას არავინ თვლიდა. საშიშ მეტოქედ, ასეთი „წინასწარი აუტსაიდერის" სახელი კი ეპშტეინმა ჩინებულად გამოიყენა. ის, რომ მასთან წინასწარ ქულას „გეგმავდნენ" და ზედმეტ სითამამეს იჩენდნენ, სწორედ ეპშტეინის „წისქვილზე" ასხამდა წყალს. და მაინც იყო რამდენიმე პოზიცია, რომელშიც ეს ნიჭიერი და ენერგიული მოჭადრაკე, რომ იტყვიან, სასწაულებრივად გადარჩა. მსოფლიოს ჩემპიონ ნონა გაფრინდაშვილს მასთან ისეთი გადამწყვეტი უპირატესობა ჰქონდა, რომ ყოველ სვლაზე მოსალოდნელი იყო გორკელი ოსტატის დანებება. ეს პარტია საბოლოოდ მოიგო... ეპშტეინმა.

ექვსი მონაწილე ერთი ქალაქიდან ძალიან ბევრია, ეს ცხადია, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, როგორ წარმართეს მათ ეს შეჯიბრება. ამის შესახებ სჯობს, იმ სპეციალისტებს მოვუსმინოთ, რომლებიც ჩემპიონატს ესწრებოდნენ.

კირა ზვორიკინა (მინსკი, მსოფლიო ჩემპიონობის ყოფილი პრეტენდენტი, შეჯიბრების მთავარი მსაჯი): ნონა გაფრინდაშვილის მეშვიდე ადგილი, რა თქმა უნდა, დიდი მარცხია. მაგრამ ნონას, რომელიც აქამდე მარჯვნივ და მარცხნივ იმარჯვებდა, აქვს მცირეოდენი „შესვენების" უფლება. აქ ერთი გარემოებაც უნდა გავითვალისწინოთ, ნონამ სულ მცირე ხნის წინ ბრწყინვალედ ითამაშა სანდომირში (პოლონეთი) ვაუთა დიდ საერთაშორისო ტურნირში და უბრალოდ, ვერ მოასწრო ძალების აღდგენა.

იური სახაროვი (კიევი, ოსტატი, უკრაინის სსრ დამსახურებული მწვრთნელი): დაუვიწყარი ვახტანგ ქარსელაძის მეგობარი ვიყავი და ყოველთვის ძალიან მიხარია, როცა მისი საყვარელი მოწაფე ნანა ალექსანდრია კარგად თამაშობს. მან დიდი ყურადღება მიიპყრო ისეთი შედეგით გულშემატკივრებს რომ უყვართ — 11 პარტია მოიგო და 6 წააგო. ბრინჯაოს მედლის მოპოვება ჩინებული მიღწევაა, მაგრამ ვფიქრობ, ნანას უფრო მაღალი ადგილი შეეფერებოდა.

ბორის პერსიცი (მოსკოვი, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი): ნინო გურიელს რა თქმა უნდა, დიდი საჭადრაკო ტალანტი აქვს, სხვანაირად როგორ შეიძლება, სულ რაღაც ერთი წლის მანძილზე მოჭადრაკე ასე მოღონიერდეს. შარშან, ფრუნზეში ქალთა საკავშირო ჩემპიონატზე ჩემს მოწაფეს ლიუდმილა ბელავენეცს ვახლდი და პირდაპირ ფრთები შემესხა — მან ოქროს მედალი მოიპოვა, ნინო იმ ტურნირში ბოლო ადგილზე გამოვიდა, ერთი წლის შემდეგ კი ნონა გაფრინდაშვილიც დაამარცხა. ნანა ალექსანდრიაც და ირინე ლევიტინაც, ე.ი. მსოფლიოს № 1 და № 2 და № 3 მოჭადრაკეები. ადვილი წარმოსადგენია, როგორ ითამაშებს ნინო მომავალში!

რუდოლფ კიმელფელდი (მოსკოვი, ოსტატი, ანა ახშარუმოვას მწვრთნელი): ნანა იოსელიანს მოსწავლეთა არაერთ შეჯიბრებაში ვაკვირდებოდი. იგი კიდევაც მიიღებს მოსწავლეთა შეჯიბრებაში მონაწილეობას, მაგრამ, ნურას უკაცრავად, ჭადრაკში „მოსწავლე" აღარ გახლავთ. ნანას ისეთი საჭადრაკო ნიჭი აქვს, რომელსაც ყველამ უნდა გაუწიოს ანგარიში. ამასთან, ბუნებამ მას ნიჭთან ერთად დიდი შეუპოვრობა და მოთმინებაც მისცა. მან ხომ ნონა გაფრინდაშვილთან ყაიმს მიაღწია, სძლია ნანა ალექსანდრიასა და ირინე ლევიტინას. ვინ მოელოდა ასეთ შედეგს 14 წლის გოგონასაგან?!

ვლადიმერ იურკოვი (მოსკოვი, ოსტატი, რუსეთის ფედერაციის დამსახურებული მწვრთნელი): მაია ჩიბურდანიძის ნიჭსა და ძალაზე არ მინდა ლაპარაკი, იგი ყველასათვის ცნობილია. მე მაინც ყველაზე მეტად მის თამაშს ვაკვირდებოდი და აი, რატომ: ჩემპიონატში იგი იმ დროს ჩაება, როდესაც მსოფლიოს პირველობის საზონათაშორისო ტურნირი მოახლოვდა. როგორ უნდა მოიქცეს ამ დროს მოჭადრაკე?! ზოგი ოსტატი (შული — ლიტინსკაია, ფატალიბეკოვა, კოზლოვსკაია) თვლიდა, რომ თბილისში თამაში და გადაღლა არ ღირდა, დასვენების დრო აღარ რჩებოდა. მაია და მისი მწვრთნელები კი პირიქით ფიქრობდნენ და ჩემი აზრით, სავსებით სწორადაც. მაიამ უდავოდ კარგად ივარჯიშა. მე პირადად ბელავენეცს თბილისში თამაში ვურჩიე და სავსებით გავიზიარე მაიას მწვრთნელების პოზიცია.

კიდევ ერთი თბილისელი მონაწილე — ციცინო კახაბრიშვილი უდავოდ თამაშობს ოსტატის ძალით, იგი, ვფიქრობ, მალე მოიპოვებს ამ წოდებას.

ერთი შეჯიბრება დამთავრდა, მიმდინარეობს მეორე, მოახლოვდა მესამე, თბილისელები კვლავ ჭადრაკის სასახლისაკენ მიიჩქარიან...

გივი გამრეკელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წიგნის თარო

13.033

რთი და ამირანი ერთიმეორეს უპირისპირდება, შეურიგებელი მტრები არიან. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში უკანასკნელი იმარჯვებს და ადამიანის მოდგმა გადაშენებას გადაურჩა. ამ ლექსს მეორე ნიშანდობლივი მხარეც აქვს — სიკეთისა და გმირულის გრძნობა. მასში კაცთმოყვარეობის იდეა ღრმად არის ჩაქსოვილი. ჩინებულად არის პოეტიზირებული ის აზრი, რომ მარადიული სიცოცხლე მხოლოდ ადამიანურს და ხალხის ინტერესებისათვის თავგამოდებულ ვაჟკაცებს უწერიათ!

პოეტი საოცრად ერიდება გაცვეთილ ხატვას, იგი უბრალო, ჩვეულებრივ სიტყვას უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, ვიდრე ბანალურ რითმასა და მეტაფორას.

ერთგან პოეტი ამბობს: „დრო ჩვენს ძარღვებში სისხლად ჩამორბის, აბრუნებს ჩვენს გულს — სხეულის დოლაბს" („გული-დოლაბი").

მართლაც, დროისა და ცხოვრების გარეშე არ არსებობს ხელოვნება საერთოდ და არც პოეზია კერძოდ. ხოლო ის, ვისაც დაკარგული აქვს დროის გრძნობა, დიდსა და სასარგებლოს ვერაფერს შექმნის ზ. ლორთქიფანიძე მთელი თავისი არსებით, სულისკვეთებით, შეგნებით თანამედროვე პოეტია. მის ლექსებში დღევანდელი დღე საოცრად ხმაურობს.

არავითარი სასაყვედურო, დღევ, დღევანდელო, ვერ დაგადევნო! მარტო არ მტოვებს გაჩენის დღიდან, არც ერთი წელი, მზის გადამწერი.

ოპტიმისტური სულიერი განწყობილება ზ. ლორთქიფანიძის პოეზიის მთავარი ნიშან-თვისებაა. საერთოდ, ამ ნიშან-თვისებით გამოირჩევა მთელი საბჭოთა ლიტერატურა, რომლისადმი თანამედროვე მოწინავე კაცობრიობა უდიდეს ინტერესს იჩენს.

ზ. ლორთქიფანიძეს საოცრად უყვარს ყოვლისშემძლე ადამიანი, მაგრამ არა ნაკლებ აღელვებს ბუნების მშვენიერება. მის წიაღში მოხეტიალე პოეტი წრფელი პათოსით მღერის: „ერთი სიტყვით, ბუნებავ, სამყარო ხარ ვრცელი... ასე გაჩნდა ორი, და, ეს ორი სამყარო, იგივეა ჩემთვის, რაც რომ ციცქნა ბიჭისთვის" („იგივეა ჩემთვის"). პოეტის შემეცნებაში ადამიანი და ბუნება ერთი მთლიანი და განუყოფელი მსოფლიოა მთელი თავისიე ავ-კარგით, ჩრდილითა და შუქით.

ბუნების მოულოდნელი სასწაულებით განცვიფრებული, გაზაფხულის სახეებით აღფრთოვანებული მგოსნის გული სავსეა სიხარულით: „ჰგავს გაზაფხული — მზის აჯანყებას, დედამიწისას, — მკვდრეთით აღდგომას, სალამი სარკმლის პირველ გაღებას, სარკმლიდან პირველ ფიქრის ნახტომსაც". ლექსი — ფიქრის სახეცვლა, განუწყვეტელი სიმღერაა ხალხზე, სამშობლოზე, ადამიანურ ცხოვრებაზე, მეგობრობაზე, ძმობაზე, სიყვარულსა და ბუნებაზე.

ზ. ლორთქიფანიძის სამოგზაურო ციკლიდან ფრიად საყურადღებოა „უცხოეთის ცასა და ხმელეთზე". თუ რაოდენ დამახასიათებელია ამ ციკლისათვის ინტერნაციონალური გრძნობა, კოლორიტი, მაგალითისათვის დავასახელებ ლექსს რევოლუციის კუნძული — „კუბა". პოეტი უგალობს კუბას, მის ნიჭიერ, გამძლე, უდრეკ ხალხს, მის დიდ მომავალს. „ვულკანი მარტო მიწის სიღრმიდან?!!! ვულკანი ჩნდება ცხოვრების ტანშიც, შეუვალია კანონის ძალა, ვერვინ დაფაროს ღრუბლების კუპრმა. მაგალითია ამისი ახლა რევოლუციის კუნძული — კუბა".

ეს ლექსიც მკაფიოდ მოწმობს, თუ რაოდენ დიდი იდეებით სუნთქავს ზ. ლორთქიფანიძის პოეზია.

ვლადიმერ ჯიბუტი

— ღმერთმა აკურთხოს თქვენი ღირსება, მამაო! მაშ, აი თქვენი გირაოს კვიტანცია... ახლა რომ ფული მოგეცით... შესამოსლის საცავიდან... თქვენი ანაფორა და შლაპა წავიღე და დავაგირავე... — თქვა ეს და მოკურცხლეს ახალმა ჯვარდაწერილებმა.

ამის გაგონებაზე მოძღვარი პირღია და თვალებდაჭყეტილი დარჩა.

## „საწყალი" ხალხის შემოსავალი

ცნობილ გერმანელ კაპიტალისტს, ზარბაზნების ქარხნის პატრონს — კრუპს წელიწადში წმინდა მოგება 10 მილიონი მანეთი რჩებოდა.

რომის პაპის უკანასკნელი წლის შემოსავალი კი 8.7000.000 მანეთი იყო.

## ქალი და რევოლვერი

ერთმა ამერიკელმა მდიდარმა ქალმა ქალბატონმა ხეტიტ გრინმა ნიუ-იორკის პოლიციის დეპარტამენტისაგან მიიღო რევოლვერის ტარების ნებართვა.

ეს პირველი შემთხვევა იყო მთელს ამერიკაში.

— თუ რევოლვერი ხელში არ გიჭირავს, — განაცხადა გრინმა, — ისე შეუძლებელია იურისტებთან ფულის საქმის დაჭერაო.

## ველოსიპედით მოსიარულე და ძუ ლომი

ქალაქ ბერნში სამხეცედან გაიქცა ძუ ლომი, რომელსაც რამდენიმე დღე დაეძებდნენ. იმ დღეებში ქალაქს კარგა მოშორებით ვინმე სილინგი ველოსიპედით დასეირნობდა, რომელსაც გზაზე შეეფეთა ძუ ლომი. რა დაინახა სილინგმა ლომი, შეშინებულმა მოკურცხლა, მაგრამ გაალმასებული ლომი დაედევნა. აი ეს-ეს არის წამოეწია გამხეცებული ნადირი, კაცს ღონე ღალატობს, გადაიქანცა და თავი განწირულად მიაჩნია. ლომი სულ რამდენიმე ნაბიჯზეა, რომ თავისი ბასრი კბილებით გაგლიჯოს საბრალო მსხვერპლი. მაგრამ ამ დროს იგრიალა თოფმა და ლომი დაეცა. მსროლელი აღმოჩნდა ლომის პატრონი, რომელიც თავის მოსამსახურეებით დიდხანს დასდევდა ძუ ლომს.

ბიბლიოთეკა

# ხოშკარუს ქარვასლა

ალბათ ნანობდა და თავბედს იწყევლიდა. უკვე მოხუცებული იყო, სამოცდაათ წელს გადააბიჯა, მრავალი განსაცდელი ენახა თავის ცხოვრებაში, მრავალჯერ გადარჩენოდა ომებში სიკვდილს. სიბერემ დაუკაკუნა კარზე, დაისვენეო დანაცვლად იმისა, რომ წყნარად და მოსვენებით დაელია სიცოცხლის უკანასკნელი წლები, იძულებული შეიქნა ისპაანის გზას გასდგომოდა. სეფიანთა სამეფო კარზე იხმობდნენ ქართლის მეფეს ვახტანგ მეხუთეს ანუ როგორც ყიზილბაშები უწოდებდნენ, შაჰნავაზ-ხანს.

ქართული წყაროების მიხედვით, ქართლის მეფე გზაში ავად გახდა და სიკვდილმა აღარ დააცალა ისპაანს ჩასვლა.

ფარსადან გორგიჯანიძე გვაუწყებს: „ყაზვინით ავადმყოფი წავიდა და ხოშკარუს ქარვასლაში ძლივას ჩააწივა და იქ მიიცვალა“.

ამასვე გადმოგვცემს ვახუშტი ბატონიშვილი: „შთავიდა ხოშკარს, მუნ სალმობიერ იქმნა და მოკვდა“.

სეხნია ჩხეიძე კრინტს არა ძრავს მეფის ავადმყოფობაზე და წერს: „მუხანათმა და მიუნდობელმა სოფელმან მოაბრუნა უკუღმა ბორბალი, რა ხოშკაროს ქარვასლაში მიბძანდა, ამა სოფლისაგან მიიცვალა“.

ზოგიერთი უცხოური წყაროს ცნობით ქართლის მეფის სიკვდილი მუხანათსა და მიუნდობელ წუთისოფელს როდი დაუჩქარებია, არამედ არანაკლებ მუხანათსა და დაუნდობელ სეფიანთა სამეფო კარს.

საქართველოში მყოფი იტალიელი მისიონერი, სახელად ჯუზეპე, 1677 წლის 1 აპრილს რომში გაგზავნილ წერილში აღნიშნავს ყიზილბაშთაგან მოწამლული ქართველი მეფის სიკვდილს.

სომეხი ვაჭრის ზაქარია აქულისელის დღიურში დაწვრილებით არის აღწერილი ვახტანგ მეფის ანუ შახნავაზ-ხანის ჩასვლა ძველ ჯულაში (1676 წლის 14 აგვისტოს) ათასკაციანი ამალისა თუ ჯარის თანხლებით. ქართლის მეფემ მიაღწია ხოშკარუდ წოდებულ ადგილს და იქ გარდაიცვალაო (იმავე წლის სექტემბერი). ავტორი დასძენს: „ზოგნი ამბობენ, თავისით მოკვდა; ზოგნიც ამბობენ, საწამლავმა მოკლაო. სიმართლე ღმერთმა იცის“.

ხსენებულ ამბავს მოგვითხრობს აგრეთვე სომეხი მემატიანე ზაქარია სარკავაგი. მისი სიტყვით, ქართლის მეფეს ცილი დასწამეს ირანის შაჰთან. ვახტანგი ნებაყოფლობით გაემგზავრა სეფიანთა სამეფო კარზე, რათა დაემტკიცებინა თავისი ერთგულება. ისპაანს რომ უახლოვდებოდა, მეფეს ყურში ჩააწვეთეს მუქარა, როგორც კი ჩახვალ ისპაანში, შაჰი შენს თავს დამშეულ ლომებს მიუგდებსო. ზაქარია სარკავაგი ამტკიცებს, ამის გაგონებაზე მეფემ საწამლავი შესვა და სული განუტევაო.

ეტყობა, ხალხში გაჩნდა მითქმა-მოთქმა ქართლის მეფის მოწამვლის შესახებ, ვინაიდან მისი უეცარი სიკვდილი ირანის ტერიტორიაზე ძალაუნებურად ეჭვს იწვევდა.

რომელი ცნობა არის უფრო სარწმუნო, რომელ ვერსიას უნდა ვენდოთ? სნეულებამ მოუღო ბოლო ქართლის მეფეს თუ საწამლავმა, ვინ იცის?!

ქართული წყაროები მაღალ შეფასებას აძლევენ ვახტანგის მეფობის თითქმის ოცწლიან პერიოდს. ვახუშტი ბატონიშვილი მოკლედ და მკაფიოდ გვიხასიათებს ვახტანგის მოღვაწეობას („აღაშენა და განავრცო ქართლი“).

აკად. ნ. ბერძენიშვილი შენიშნავს· „ვახტანგ მეხუთით ანუ შაჰნავაზით იწყება ბაგრატიონთა მუხრან-ბატონების შტოს მრავალმხრივი და ნაყოფიერი მოღვაწეობა ქართლის სამეფო ტახტზე“.

ქართლის მეფის პოლიტიკის უმთავრესი მიზანი იყო საქართველოს გაერთიანება, რაც ეწინააღმდეგებოდა ყიზილბაშთა და ოსმალთა ინტერესებს. 1638 წელს დადებული ზავის თანახმად, ირანი ცნობდა ოსმალეთის უფლებას დასავლეთ საქართველოზე, ხოლო ოსმალეთი — ირანის უფლებას აღმოსავლეთ საქართველოზე.

ოსმალეთი გართული იყო ომით ევროპაში და ირანისათვის არ ეცალა. რაც შეეხება ირანს, აღარც მას მოსდევდა ძველებური ძალ-ღონე ოსმალეთთან ჭიდილისა. ისპაანში ჩასული ევროპელ ხელმწიფეთა ელჩები მოუწოდებდნენ სეფიანთა ირანის მბრძანებელს, გამხდარიყო მათი მოკავშირე, ეომა ოსმალეთთან და დაებრუნებინა დაკარგული სამფლობელოები (ბაღდადი და სხვა ქალაქები), მაგრამ შაჰ-სულეიმანი ცივ წყალს გადაასხამდა ხოლმე საომარი პროექტებით აღჭურვილ ევროპელ ელჩებს, ხონთქართან ზავის დაცვა და ქვეყნის მშვიდობა ათას ბაღდადს მირჩევნიაო.

მრჩევლებმა განუცხადეს, თუ რაოდენ დიდი ხიფათი იყო მოსალოდნელი ოსმალთაგან, როდესაც ისინი ქრისტიანულ ქვეყნებს დაეზავებოდნენ, შემოუტევდნენ ირანს და წაჰგლეჯდნენ საუკეთესო პროვინციებს; შაჰ-სულეიმანმა გულგრილად უპასუხა, ჩემთვის სულ ერთია, რაც უნდათ ის წაიღონ, ისპაანს მაინც არ დამიტოვებენო?

ცხადია, საქართველოს გასაერთიანებლად სეფიანთა სახელმწიფოს მბრძანებელი თავს არ აიტკივებდა. როდესაც ქართლის მეფემ ისარგებლა იმერეთში მიმდინარე არეულობით და იმერეთის ტახტზე თავისი უფროსი ვაჟი არჩილი დასვა, ოსმალეთის მთავრობამ მყისვე ელჩი მიავლინა ისპაანს და ზავის დარღვევის გამო პროტესტი განუცხადა ირანის შაჰს. ამ უკანასკნელმა უბრძანა შაჰნავაზ-ხანს ხელი აეღო იმერეთზე. ვახტანგს დააცლევინეს იმერეთი, ხოლო არჩილს კახეთის სამეფო უბოძეს.

სამოცდაათიან წლებში სეფიანი ხელმწიფისათვის ნათელი შეიქმნა, რომ ქართლის მეფის ზრახვები ირანის ინტერესებს არ ემთხვეოდა. ვახტანგი დიდი გავლენით სარგებლობდა საქართველოს სხვა სამეფო-სამთავროებში და ირანის ბატონობას ძლივსღა ითმენდა. ისპაანში არც ის ეპიტნავებოდათ, რომ ქართლ-კახეთი ფაქტიურად გაერთიანებული იყო — ქართლს მამა განაგებდა, ხოლო კახეთს — შვილი.

სეფიანთა სამეფო კარზე ქართლის მეფის დამხობის გეგმა მომწიფდა. ვახტანგზე გადამტერებულმა ეთიმადოვლემ ანუ პირველმა ვეზირმა შეიხ ალი-ხანმა ურჩია ხელმწიფეს, რომ კახეთის მეფედ დაენიშნათ ერეკლე ბატონიშვილი, შვილიშვილი თეიმურაზ მეფისა. საქართველოში სამოქალაქო ომი ატყდებოდა და ხელს მოითბობდნენ მხოლოდ ყიზილბაშები.

ცნობილი ფრანგი მოგზაურის შარდენის სიტყვით, მათი მიზანი იყო „საქართველო საბოლოოდ დაეპყროთ და სავსებით დაემორჩილებინათ ეს ამაყი და ურჩი ხალხი, რომელიც ესოდენ მტკიცედ იცავდა ჯერ კიდევ შემორჩენილ მცირეოდენ თავისუფლებას“.

ერეკლე ბატონიშვილს დიდი პატივით დახვდნენ ირანში და შაჰმა დააიმედა, ნურაფრის დარდი გექნება, წინაპართა ტახტს უეჭველად დაგიბრუნებ, თუკი გამაჰმადიანდებიო.

კახეთის დიდებულნი არჩილს ჩააცივდნენ, შენს მოყვარეს მისივე სამკვიდრო დაუბრუნეო (ერეკლე იყო ცოლისძმა არჩილისა). აქეზებდნენ, იმერეთში გადადი და გაბატონდიო.

არჩილი ახალციხის ფაშას ესტუმრა, მრავალი ფეშქაში მიართვა და კიდევ მრავალს დაჰპირდა, ოღონდაც ფაშას შუამდგომლობა გაეწია ოსმალეთის ხონთქართან და იმერეთის მეფობა დაებრუნებინა არჩილისათვის. ფაშამ ურჩია არჩილს, ქრთამი დიდვეზირსაც გაუგზავნეო.

ახალციხეში გაქცეულ შვილს ვახტანგ მეფემ კათალიკოსი დაადევნა, სიკვდილი მაცალე და მერე რაც გინდა, ისა ქქენიო, მაგრამ არჩილმა არ ისმინა მამის ვედრება.

შეწუხებულმა ვახტანგმა ირანის შაჰთან შიკრიკი აფრინა და შეუთვალა, ჩემმა ვაჟმა მიღალატა, მე კი თქვენი ერთგული მონა ვარ და მთელი სიცოცხლე ასეთად დავრჩებიო. ხელმწიფის კარზე ჩამოვალ და თავს ვიმართლებო.

„ბებერი მელა“, როგორც ეძახდნენ შაჰნავაზ-ხანს სეფიანთა სამეფო კარზე, ისპაანში იხმო შაჰ-სულეიმანმა, მაგრამ ისპაანამდე აღარ ჩაუღწევია ქართლის მეფეს. ხოშკარუს ქარვასლაში ჩაუსაფრდა სიკვდილი და შეაწყვეტინა მგზავრობა. თურმე ხოშკარუ იყო უკანასკნელი სადგური მისი ცხოვრების გრძელ გზაზე.

დასაზუსტებელია ხოშკარუს ადგილმდებარეობა.

1637 წელს ხოშკარუს ქარვასლაში შეჩერებულა ცნობილი გერმანელი სწავლული და მოგზაური ადამ ოლეარიუსი. მისი სიტყვით, ხოშკარუს ქარვასლა მდებარეობდა ყაზვინიდან ორი-სამი დღის სავალზე( ისპაანის მიმართულებით). საკმაოდ დიდი შენობა ყოფილა, ძალზე კარგად ნაგები ოთხკუთხა ქვებით. ქარვასლა შეიცავდა მრავალ ოთახსა და საჯინიბოს. შუაგულში იყო დიდი ეზო და რამდენიმე წყლის ჭა. ოლეარიუსი წერს, რომ ხოშკარუს ქარვასლა აუშენებია ვიღაც მდიდარ ხანს (შაჰ-აბასის დროს), რათა ამით გამოესყიდა რაღაც მძიმე დანაშაული და გადაერჩინა თავისი ტყავი.

...თეიმურაზ მუხრან-ბატონი, მამა ვახტანგისა, მარაბდის ომში დაიღუპა, თვითონ კი ყაზვინსა და ისპაანს შორის მდებარე ხოშკარუს ქარვასლაში კვდებოდა, ვინ იცის, სნეულებისაგან თუ საწამლავისაგან?!

ჩანს, დაებედათ მის შთამომავლებს უცხოეთში სიკვდილი.

ვახტანგის შვილებიდან არც ერთს არ დაუსრულებია თავისი სიცოცხლე სამშობლოში! — ყველამ უცხო ცის ქვეშ დახუჭა თვალი.

არჩილი გარდაიცვალა მოსკოვში, გიორგი — ყანდარში, ალექსანდრე, ლევანი, ლუარსაბი — ისპაანში.

მათი შვილებიც უიღბლო ვარსკვლავზე დაიბადნენ.

ალექსანდრე, ძე არჩილისა გარდაიცვალა რიგაში, ბაგრატ, ძე გიორგისა — ჰერათში, ალექსანდრე, ძე ლუარსაბისა — ყანდაარში; ლევანის ძეთაგან; ქაიხოსრო — ყანდაარში, ვახტანგი — ასტრახანში, სვიმონი — მოსკოვში, როსტომი — გულნაბადში.

ზოგი ბუნებრივი სიკვდილით მოკვდა, ზოგიც ბრძოლის ველზე დაიღუპა: ზოგი ქრისტიანულად დამარხეს, ზოგი — მაჰმადიანურად, ზოგს კი საფლავის გათხრაც არ ეღირსა.

ხოლო საქართველოს ისტორიის ფურცლებზე ყველასთვის ნაცნობ და ძვირფას სახელებს სამუდამოდ დაუმეზობლდნენ უცხოური სახელები: ხოშკარუ, ყანდაარი, გულნაბადი...

**თამაზ ნატროშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოეთის სპორტული ამბები

## სპორტი და განგსტერები

როგორც გაზეთი „კოტიდიენ დე პარი“ იუწყება, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში განგსტერები დიდი სპორტული შეჯიბრების დროს სხვადასხვანაირად იქცევიან. იტალიაში ისინი მაგალითად ხალხის დიდთავმოყრას ცარიელი ბინების გასაძარცვავად იყენებენ. გფრ-ში კი იმ საღამოების დროს, როდესაც ფეხბურთის მატჩების ტელეგადაცემა მიმდინარეობს, დანაშაულის რიცხვი კლებულობს. როგორც ჩანს, განგსტერებსაც აინტერესებთ ფეხბურთი და თვალს ადევნებენ რეპორტაჟს, ფრანგი განგსტერები კი ყველაფერს



ფოტოზე: კასიუს კლეი (მუჰამედ ალი) და ნორტონი (მარცხნივ)

ასწრებენ. როდესაც პარიზში მრავალრიცხოვანი გულშემატკივარი უცხოეთიდან წარმატებით დაბრუნებულ „სენტ-ეტიენს“ მიეგება და პოლიციის მთელი ყურადღება ამ მოვლენამ მიიპყრო, განგსტერებმა ჯერ ბანკი გაძარცვეს, შემდეგ ფეხბურთელებთან შეხვედრასაც მოუსწრეს და ნაძარცვი ფულით შეძენილი ყვავილების უზარმაზარი თაიგულები მიართვეს.

## ცხადია, დაიბრუნებენ

განგსტერების ბანდა მელბურნში თავს დაესხა ავსტრალიელი ბუკმეკერების კლუბს და პირწმინდად გაძარცვა. ამასთან დაკავშირებით სპორტული კომენტატორი ბერტ ბრაინეტი წერდა: „საშიში არაფერი მომხდარა და არც ბუკმეკერები — ლეგარული მძარცველები, წუხან. მალე ავსტრალიის თასის ფინალური მატჩია ფეხბურთში. როგორც ცნობილია, განგსტერები აზარტული მოთამაშეები არიან, რომელიც ნიძლავს დებენ მომავალი მატჩების შედეგების შესახებ. ისე, რომ ისინი ნაძარცვ ფულს აუცილებლად წააგებენ და ბუკმეკერები დაკარგულზე მეტ თანხას დაიბრუნებენ“.

## რას არ მოიგონებენ

აშშ-ში ოთხი ნაკრების (ბრაზილია, ინგლისი, იტალია, აშშ) საიუბილეო ტურნირის დროს გაზეთები მეტად უცნაურ სათაურებს აძლევდნენ და მატჩების მსვლელობასაც თავისებურად აღწერდნენ. მას შემდეგ, რაც იტალიელებმა ანგარიშით 4:0 სძლიეს აშშ-ს ნაკრებს „ნიუ-იორკ დეილი ნიუსი“ წერდა: „ფეხბურთის მინდორზე ლირას კურსი დოლარის კურსს ოთხჯერ აღემატებოდა“. ინგლის-იტალიის მატჩის ბოლო წუთზე მინდორზე ფეხბურთელებმა ნამდვილი მუშტიკრივი გამართეს. ამასთან დაკავშირებით გაზეთი „ნეშნლ სტრი“ წარდა: „მატჩის დასასრული ომის დასაწყისს ჰგავდაო“.

## ალის აზრით

მსოფლიოს აბსოლუტურმა ჩემპიონმა მუჰამედ ალიმ იაპონელ მოჭიდავე ინოკისთან შეხვედრისას სერიოზული ტრამვა მიიღო. მას რამდენიმე კვირა მოუხდა მკურნალობა.

კორესპონდენტის კითხვაზე, ხომ არ იყო ინოკი ყველაზე უფრო სახიფათო მეტოქე მთელი მისი კარიერის მანძილზე, ალიმ მიუგო:

— არა! ყველაზე სახიფათო პენტაგონი იყო, მეორე ადგილს — ჯო ფრეიზერს ვაკუთვნებ, მესამეს — ჩემს პირველ ცოლს.

## მწვრთნელი თუ გრძნეული?

კენიის უძლიერეს კლუბ „ბრუერიზისა“ და ეროვნულ ნაკრების 6 უძლიერესი მოთამაშე დისკვალიფიცირებული იქნა, მიზეზი საკმაოდ უცნაური და ფეხბურთის ისტორიაში სრულიად უმაგალითოა, მოთამაშენი დისკვალიფიცირებულნი არიან, რადგან „გრძნეულის რჩევებს უფრო უსმენდნენ, ვიდრე მწვრთნელის“.

## მის გულს ვერ მოიგებ!

ბეისბოლის გუნდ „ოკლენდ ატლეტიკსის“ პატრონ ჩარლზ ფინლეის მთავარი მრჩეველი გახდა მისანი ქალი ლორი ბრეიდლი, რომელიც სპეციალურ განყოფილებასაც ხელმძღვანელობს ამერიკულ ყოველკვირეულ ჟურნალ „ნეშნლ ინკუაირერში“. ბრეიდლი წინასწარ გამოიცნობს მატჩების შედეგებს, სპორტსმენების ტრავმებს, ადგილების საბოლოო განაწილების გათამაშების ცხრილში, ერთადერთი, რასაც ვერ გამოიცნობს იგი, მისი დარჩენის საკითხი გახლავთ ბეისბოლელთა გუნდში.

— ფინვლისთან მუშაობა ძალიან ძნელია. მისი გულის მოგება შეუძლებელია! ხან იმის გამო ბრაზდება, რომ პროგნოზი გუნდისათვის ხელსაყრელი არ არის, ხან იმის გამო, რომ ხელსაყრელი პროგნოზი არ მართლდება.

## „ტაგესცაიტუნგის“ ირონია

იმასთან დაკავშირებით, რომ რამდენიმე წამყვანი დასავლეთგერმანელი ფეხბურთელი ზედიზედ გადაბარგდა უცხოეთში, გაზეთი „ტაგესცაიტუნგი“ წერდა:

„ბავარიულ ლუდსა და „ფოლკსვაგენის“ მარკის მანქანებთან ერთად ფეხბურთელების გაყიდვა ჩვენი იმპორტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა“.

## ჩვეულების ძალა

გაზეთ „ნიუ-იორკ დეილი ნიუსის“ თანამშრომელი ქალი კენდის ბერგენი ადრე საგზაო შემთხვევებზე წერდა, შემდეგ კი სპორტული მიმომხილველი გახდა. ადრინდელი ჩვეულებები მაინც იჩენენ ხოლმე თავს. ასე, მაგალითად მძიმე წონის მოკრივეების ფორმენისა და ფრეიზერის მატჩის გარჩევისას ბერგენი წერდა:

„ფრეიზერი ჩემში გაორებულ გრძნობას იწვევდა, რომელსაც ჩვეულებრივ განიცდი, ავარიაში მოხვედრილ ავტომანქანას რომ ნახავ! შეხედვის გეშინია, ამავე დროს, თვალს ვერ აცილებ“.

# უცხოეთის ჟურნალ-გაზეთებიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

### „ბევრი ხმაური არაფრის გამო“

შარშან ფრანკფურტში, წიგნის ბაზრობაზე, იყიდებოდა მსოფლიო ჩემპიონის კასიუს კლეის წიგნი „ყველაზე დიდი“. წიგნი ავტობიოგრაფიული ხასიათისაა. კასიუს კლეისთან ერთად წიგნის ავტორია ამერიკელი ჟურნალისტი რიჩარდ დიურმანი.

იტალიის ყველაზე დიდმა გამომცემლობამ „მონდადორმა“ ეს წიგნი იტალიურად გამოსცა.

როგორც იტალიური გაზეთი „პაეზე სერა“ იუწყება, კასიუს კლეის წიგნი იტალიაში ვერ გასაღდება. იტალიელ მკითხველს არ მიიზიდავს ქრონიკის სტილით დაწერილი, ტრაბახით სავსე წიგნი. გაზეთი აღნიშნავს, რომ ეს წიგნი არის „ბევრი ხმაური არაფრის გამო“; ეს არის გამომცემლობის მიერ მილიონების წყალში გადაყრა. ამერიკაში წიგნს შეიძლება ჰქონდა წარმატება, მაგრამ იტალიაში აუცილებლად „ჩაწოლა“ მოელის.

### შუკშინის შემოქმედება ვენეციაში

საზღვარგარეთ სულ უფრო იზრდება ინტერესი საბჭოთა რეჟისორის ვასილი შუკშინისადმი.

იტალიაში, კერძოდ ვენეციაში გაიმართა კულტურის კვირეული; კვირეულის ერთი დღე მთლიანად შუკშინს მიეძღვნა. სექტორში — „კინო და ტელეხელოვნება“ ნაჩვენები იყო შუკშინის ფილმები..

ფოტოზე: ვასილი შუკშინი.



უცხოეთის ჟურნალ-გაზეთებიდან

# თითქმის დაუჯერებელი

●

ინგლისელმა ტიმ ჰაიზმა, რომელსაც სურდა, რომ გამძლეობის რეკორდი დაემყარებინა, ოთხი დღე და ღამე გაატარა... სამარეში. კუბოში ჩაწოლილ „სპორტსმენს" ჰაერს, წყალს და საკვებს პლასტმასის სპეციალური მილით აწვდიდნენ.

●

ამას წინათ კიდევ სამმა ინგლისელმა დაამყარა ახალი რეკორდები: რეი ჰატერი შეუჩერებლად ლაპარაკობდა 29 საათი, 12 წუთი და 30 წამი; ჯორჯ უოლტერზი 26 საათის განმავლობაში უკრავდა აკორდეონს; რეტ სტოვენსმა შეძლო ერთი სიგარეტიდან თამბაქოს კვამლის 192 რგოლი გამოეშვა.

●

დასავლეთის პრესა იუწყება, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ყველა პროფესიის ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 70 წელია, კბილის ექიმები კი საშუალოდ მხოლოდ 52 წელი ცოცხლობენ.

ამ გარემოებას კბილის ექიმების ფსიქოლოგიური გადატვირთვით ხსნიან. ისინი იძულებულნი არიან ყოველდღიურად უყურონ პაციენტების სასოწარკვეთილ თვალებს, მოისმინონ შემზარავი კივილი, ჩაატარონ კბილების მკურნალობის რთული პროცედურები...

●

ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიხსნა საიდუმლო თავშესაფარი... შინიდან გაქცეული ქალებისათვის. თავშესაფარში უმთავრესად ქმრებთან წაჩხუბებული ქალები აფარებენ თავს.

ამ ძვირად ღირებული თავშესაფრის ადგილმდებარეობა მამაკაცებისათვის მკაცრად არის გასაიდუმლოებული.

●

სპეციალურმა ჟიურიმ იტალიაში ყველაზე ლამაზ ქალად აღიარა 19 წლის პაოლა ბრესჩიანო, რომელმაც კონკურსში გამარჯვებისთანავე 500 მილიონ ლირად დააზღვია... თავისი ფეხები.

როგორც შემდეგ გამოირკვა, სილამაზის დედოფალი თურმე ქალების ფეხბურთელთა გუნდში თამაშობდა ცენტრალურ თავდამსხმელად.

●

1677 წელს ინგლისში შემოიღეს კანონი, რომელიც ყველა მეტეოროლოგის სიკვდილით დასჯას ითვალისწინებდა.

ეს დრომოჭმული კანონი დიდი ბრიტანეთის თემთა პალატამ მხოლოდ ამ რამდენიმე ხნის წინათ გააუქმა.

●

კოპენჰაგენის ერთ-ერთ პარკში მოაწყვეს ტალახით დაფარული რინგი, რომელიც მხოლოდ მოკრივე ქალებისათვის არის განკუთვნილი.

წესდება ითვალისწინებს, რომ ყოველი დარტყმის მიღებისთანავე, მოკრივე ქალმა ნაწილ-ნაწილ უნდა გაიხადოს ტანსაცმელი.

●

ირლანდიაში ამას წინათ ერთ-ერთი რადიოგადაცემის დროს დიქტორი მოულოდნელად გაჩუმდა.

გაოცებულ რადიომსმენელებს ჯერ რაღაც ხმაური შემოესმათ, შემდეგ ჩურჩული, ბოლოს კი სასოწარკვეთილი დიქტორის განწირული ყვირილი.

მალე ნათელი გახდა, რომ დიქტორი შეაშინა... მიკროფონთან გამომძვრალმა წრუწუნამ.

●

იაპონიის ქალაქ სიდზუოკაში უკანასკნელ ხანებში გახშირდა ბინების გაქურდვა.

მოსახლეობა იძულებული გახდა შეეძინა ძვირად ღირებული საკეტები, რომლებიც საგანგებო საყვირებით არის აღჭურვილი.

ამას წინათ ქურდი დააკავეს. იგი აღმოჩნდა საყვირებიანი საკეტების გამყიდველი.

●

კოლუმბიის ქალაქ ალიმაგერში ამას წინათ დროებით გაანთავისუფლეს... ყველა პატიმარი.

მუნიციპალიტეტის ეს უცნაური გადაწყვეტილება იმ გარემოებამ განაპირობა, რომ ქალაქის ციხე ავარიულ მდგომარეობაში იყო და სასწრაფო შეკეთებას საჭიროებდა.

„არდადეგების" დამთავრების შემდეგ ყველა პატიმარი დათქმულ დროზე გამოცხადდა ციხეში.

# ირაკლი ხმალაძე

ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ირაკლი ხმალაძე ცნობილია როგორც აგრონომ-დეკორატორი და ლანდშაფტური ხელოვნების სპეციალისტი. იგი მრავალი წლის განმავლობაში წინანდალში სასიქადულო ქართველი პოეტისა და მოღვაწის ალექსანდრე ჭავჭავაძისეული პარკის დეკორატორი იყო. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ ბაღის მოვლა-პატრონობაში. ირაკლი ხმალაძეს არა მარტო თბილისში, არამედ საქართველოს ბევრ კუთხეშიც უშენებია ბაღები და ყვავილნარები.

ირაკლი ხმალაძე ლანდშაფტურ ხელოვნებაზე რამდენიმე წიგნისა და მრავალი სტატიის ავტორია. იგი არა მარტო აგრონომ-დეკორატორია, არამედ მცენარეებისა თუ ყვავილებისგან ასრულებს პორტრეტებს, ლამაზ, დეკორატიულ მოტივებს. ეს გასაგებიც არის, რადგან ოცდაათიან წლებში ჩვენ ერთად ვეუფლებოდით მხატვრობის რთულ ხელოვნებას თბილისის სამხატვრო აკადემიაში. ფერწერისადმი სიყვარული მას ბოლომდე გაჰყვა. იგი გულდასმით მუშაობს ამ წარმტაც „ფერწერაზე", აქვს ბევრი საინტერესო ნამუშევარი, რომელთაგან ზოგიერთი პირველად ქვეყნდება.

სასურველია, მოეწყოს ირაკლი ხმალაძის ნამუშევართა გამოფენა

**უჩა ჯაფარიძე,**
საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარი.

ცნობილი აგრონომ-დეკორატორის ირაკლი ხმალაძის მოღვაწეობაში განსაკუთრებით მიზიდავს მისი პოეტური, რომანტიკული დამოკიდებულება სამშობლო ბუნებისადმი, მისი ღრმა პატრიოტიზმი.

აგრონომს ბუნება რომ უყვარდეს, რა გასაკვირია, მაგრამ ირაკლი ხმალაძე ბუნებას უყურებს არა როგორც პრაქტიკოსი, არამედ როგორც მხატვარი. ამავე დროს, მისთვის ყოველი ყვავილი, ბუჩქი თუ ხე — სამშობლოს, საქართველოს განუყოფელი ნაწილია. თითქოს მისი სიმბოლოა, ამიტომ არის ასეთი წრფელი გრძნობით გამთბარი მისი დაუცხრომელი შრომის ნაყოფი.

ყვავილებით შექმნილი სურათები — ვაჟა-ფშაველა, მხატვრის პალიტრა, დეკორატიული მოტივები — სამშობლოს ბუნებისადმი სიყვარულის კიდევ ერთი დადასტურებაა.

**ვახტანგ ბერიძე,**
აკადემიკოსი.

გადაეცა ასაწყობად 12/XI-76 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 13/XII-76 წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2,5. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 3,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,9. ტირაჟი 52.330. შეკვ. № 3786. უე 00936. ფასი 30 კაპ.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14

რედაქციის მისამართი:

380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელ. — მთ. რედაქტორის — 99-54-66,
პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებების — 93-28-42, 99-01-39.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.



პანოს დეტალი.



წინანდლის ცაცხვი.



სვანეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ირაკლი ხმალაძე



პალიტრა.

ვაჟა.



წინანდალი. ჭავჭავაძისეული სახლი.



# XXXVI ჩემპიონატი

ეროვნული
ბიბლიოთეკა













ტურნირის ერთი დღე.
ესთერ ეპშტეინი (II ადგილი).
ლილი წეროძე.
კირა ზვორიკინა (მთავარი მსაჯი),
ელისო კაკაბაძე.
ნანა იოსელიანი.
ნინო გურიელი.

XXXVI ჩემპიონატი



ანა ახშარუმოვა (I ადგილი).

თარხან არჩვაძის ფოტო.

ნანა ალექსანდრია (III ადგილი).



ყულარის ცხენსაშენი მდინარე ხრამის ქვემო დინებაში მდებარეობს. აქ „ლევადის“ საძოვრებზე ლაღად დაჭქრიან კვიცები.

მაგრამ გადის დრო და თავდება „უზრუნველი ხანა“ — იწყება მათი აღზრდა.

დიდი ჯაფა ადგიათ ჟოკეებს — კვიცებს ავარჯიშებენ, წრეში არბენინებენ, აჩვევენ ლაგამს, უნაგირს.

და აი, დგება ჟამი, როცა წმინდასისხლიანი ბედაური მზად არის დიდი სარბიელისათვის.

ათი წლის წინათ თითო-ოროლა ცხენი იყო ცხენსაშენში. დღეს ყულარის თავლებში ერთმანეთზე უკეთესი 175 ჯიშიანი ცხენია. ყულარის ცხენსაშენს კარგად იცნობენ ჩვენი ქვეყნის იპოდრომები. სსრ კავშირში არ იმართება არც ერთი დიდი შეჯიბრება, რომელშიც არ მონაწილეობდნენ საქართველოში მოშენებული წმინდასისხლიანი ცხენები. ისინი ქებათა-ქებას იმსახურებენ, ამას მოწმობს ის უამრავი პრიზები და თასები, რომლებიც მოპოვებული აქვთ ჟოკეებს.


ეროვნული ბიბლიოთეკა





ვ. სოკოლოვის ფოტო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ИНДЕКС 76056

რთველში.

თარხან არჩვაძის ფოტო.